# საერთო გაზეთი

№41 (633)
ოთხშაბათი
10 ნოემბერი,
2021წ.
ფასი 1.50 ლ.




## რუსული ბომბი რუსთავის ციხეში

ამ ბომბს „პრედახრანიტელი“ აქვს მოშლილი და ემანდ, ფრთხილად ვიყოთ – მოულოდნელად არ აფეთქდეს!

## სააკაშვილი რუსებმა თვითონ შემოიყვანეს საქართველოში და თვითონვე დააჭერინეს ქართველებს

## საქართველოშიც ის უნდა მოხდეს, რაც პოლონეთში მოხდა...

## გიული ალასანაია, პატიმარი მიშა და ცხელი ფაფა

## მთავარი მოწმე

ნინო ბურჯანაძე - ვადაგასული ქამელეონი!

## რომელი წალენჯიხის ამყვავებლები თქვენ ხართ, თქვე ავაზაკებო!

## როგორც იქნა, შევიდნენ „ბუტკაში“!

## პრეზიდენტები და პრემიერები, რომლებიც მართლმსაჯულებას ვერ გაექცნენ



# რუსული ბომბი რუსთავის ციხეში

## რუსთავის №12 დაწესებულებაში რუსების მიერ გამოგზავნილი ბომბი დევს, რომელსაც „პრედახრანიტელი“ აქვს მოშლილი და ემანდ, ფრთხილად ვიყოთ – მოულოდნელად არ აფეთქდეს!



**ვახტანგ ხარჩილავა:**

რუსთავის №12 დაწესებულებაში რუსული ბომბი დევს, რომელიც უკრაინიდან შემოგვიგზავნეს რუსებმა ცომაიას ტრაილერით.

— მაგას რომ რაიმე დაემართოს, გიუმრის სამხედრო ბაზიდან რუსული ტანკები მყისვე აქ გაჩნდებიანო, — გაგვაფრთხილა ბებერმა არამზადამ — ბუბა კიკაბიძემ.

ვინ ვინ და რუსების საყვარელმა „ჩიტო-გვრიტომ“ დანამდვილებით იცის, რომ ბომბი, რომელიც რუსთავის ციხეში დევს, რუსული წარმოებისაა.

ეს ამბავი პატივცემულმა ბუბამ მაშინაც მშვენივრად იცოდა, როცა „ნაცმოძრაობის“ საარჩევნო პრეზენტაციისადმი მიძღვნილი მიტინგი რუსულ ენაზე შესრულებული „თბილისოთი“ გახსნა, რითაც „ნაცმოძრაობამ“ ძმობისა და მეგობრობის მესიჯი გაუგზავნა მოსკოვს.

— ფონოგრამა აგვერიაო, — თავს იმართლებდნენ ნაცები.



რაღაც ხშირ-ხშირად გერევათ თქვენ ფონოგრამა, ნაცებო, და არა მგონია, ეს შემთხვევით ხდებოდეს.

ფონოგრამა აერია ამასწინათ ანზორ მელიასაც, რომელიც ზუგდიდში, ერთ-ერთ მიტინგზე ღიად და დაუფარავად გამოუტყდა რუსებს სიყვარულში, ხოლო ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში, ასევე ღიად და დაუფარავად, ქართველები დაადანაშაულა.

ასაკიდან გამომდინარე, ცოტა შეფერთხილი კი ჩანს ბატონი ანზორი, მაგრამ იმდენად გონებასუსტებად ნამდვილად არ არის, რომ ასეთი რაღაცები შემთხვევით წამოცდეს.

ფონოგრამა ჰქონდა არეული მიხეილ სააკაშვილსაც, რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ და არჩევნების შემდეგაც მწვავედ აკრიტიკებდა დასავლეთს და ევროპარლამენტარების ნაწილს მექრთამეობასა და აგენტურულ საქმიანობაში სდებდა ბრალს?

ალბათ, ისიც გემახსოვრებათ, „ნაცმოძრაობამ“ ფეხებზე რომ დაიკიდა ევროსაბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი და დიდი დავიდარაბით და წვალებით მიღებულ მიშელის დოკუმენტს ხელი რომ არ მოაწერა.

„ნაცმოძრაობის“ გებელსის, ნიკა გვარამიას, გამოხტომებიც გემახსოვრებათ, ბაზრის დედაკაცივით რომ ლანძღავდა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის, აშშ-ის ელჩს კელი დეგნანს, კარლ ჰარცელს და სხვებს.

სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“, დიდი ხანია, საიდუმლო სიგნალებს უგზავნიან მოსკოვს: ჩვენ თქვენი ვართ, ჩვენ თქვენი მეგობრები ვართ და მზად ვართ, ეს საქმითაც დავამტკიცოთო.

ამტკიცებენ კიდევაც: რასაც „ნაცმოძრაობა“ აკეთებს, თავიდან ბოლომდე რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს.

უფრო მეტიც, რაც „ნაცმოძრაობას“ ხელისუფლებაში ყოფნის რვა წლის განმავლობაში უკეთებია, ყველაფერი რუსეთის სახეიროდ და სასარგებლოდ კეთდებოდა.

თუ თვალს გავადევნებთ „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის რვა წელს, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს რუსეთი „ნაცმოძრაობის“ ხელით უსწორდებოდა ურჩ და გაუტეხელ ქართველ ხალხს.

„ნაცმოძრაობა“ რუსეთის საეგზეკუციო-სადამსჯელო დესანტივით იქცეოდა და ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ დაებეჩავებინა, დაეკნინებინა, დაესუსტებინა ქართველი ხალხი.

დიდი შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ 2008 წლის აგვისტოს ბლიც-ომით დაგვირგვინდა, რომელიც სხვა არაფერი იყო, თუ არა რუსეთისა და „ნაცმოძრაობის“ ლიდერშიფის ერთობლივი სპეცოპერაცია, რომ ე.წ. სეპარატისტული რეგიონები საბოლოოდ ჩამოშორებოდა საქართველოს.

ხშირად სვამენ კითხვას: ვინ დაიწყო 2008 წლის აგვისტოს ომი, იმაზე კი არავინ ამახვილებს ყურადღებას, რა მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატარა „ნაცმოძრაობამ“ კერძოდ კი სააკაშვილმა, ამ ომის დაწყებამდე.

სააკაშვილმა კოდორის ხეობა ზემო აფხაზეთად გამოაცხადა, აღადგინა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, შიგ შეტენა ახალგორი, რომელიც ჯერ კიდევ გუმბარიძის დროს გამოეყო ამ ოლქს; დაადგინა ახალი საზღვრები, ყოველივე ეს საქართველოს პარლამენტს დაამტკიცებინა, რითაც ორივე სეპარატისტული რეგიონი „კანონიერად“ „აღადგინა“ თავის ადმინისტრაციულ საზღვრებში და ასე იურიდიულად, „ნოტარიალურად“ დამოწმებული და ბეჭედდასმული დოკუმენტებით გაუმაგრა და გაუმყარა საფუძვლები იმ ორ სეპარატისტულ რეგიონს, რომ მომავალში მათი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობა გაადვილებულიყო.

ის, რაზეც ახლა ზერელედ და ზედაპირულად ვისაუბრე, აშკარად შეიცავს საკუთარი სახელმწიფოს ღალატის გამაოგნებელ ფაქტებს, თუმცა ამ ფაქტებზე სერიოზული კვლევა და გამოძიება ქართული სახელმწიფოს მხრიდან ჯერჯერობით არ ჩატარებულა და არც სააკაშვილისთვის მოუთხოვია პასუხი ვინმეს აგვისტოს ომში ელვისებური დამარცხებისთვის, რასაც ასობით ქართველი ჯარისკაცის, მშვიდობიანი მოქალაქეების დაღუპვა, სამხედრო და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის განადგურება და, რაც მთავარია, საქართველოს ტერიტორიების 20%-ის დაკარგვა მოჰყვა.

სააკაშვილს 9 მილიონის არამიზნობრივად ხარჯვას ედავებიან, მაგრამ არავინ ედავება იმ უზარმაზარი ზიანის და ზარალის შესახებ, რომელიც მან ქართულ სახელმწიფოს მიაყენა და რომელიც, ალბათ, 9 მილიონს ასჯერ აჭარბებს.

სააკაშვილს არც იმას ეკითხება ვინმე, რატომ, რა მოტივით გასხვისდა ჩალის ფასად ოკუპანტ ქვეყანაზე სტრატეგიული მნიშვნელობის უამრავი ობიექტი.

მოკლედ რომ ვთქვათ, მართალია, სააკაშვილს, თუნდაც ზეპირსიტყვიერად, ბევრ რამეზე ედავებიან, მაგრამ, როცა, ირიბად თუ პირდაპირ, საქმე ეხება რუსეთთან შემხებლობაში ჩადენილ ამა თუ იმ საეჭვო ქმედებას, გამოძიებაც დუმს და ხელისუფლებაც.

ამას აქვს თავისი ობიექტური მიზეზები, რომელთა განხილვას აქ არ შევუდგებით, თუმცა ვიტყვით ერთს: სააკაშვილის პოლიტიკური საქმიანობა, მისი კარიერა, მისი ქმედებები, მისი, ერთი შეხედვით ალოგიკური და რებუსული გადაწყვეტილებები, იმდენად მჭიდროდ არის გადახლართული რუსულ პოლიტიკასთან, რომ სააკაშვილის რთული და ავანტურისტული ბიოგრაფიიდან რუსული კონტექსტის ჩამოშორება ამ ადამიანის მიერ ჩადენილი დანაშაულების პანორამულ სურათს სერიოზულად დაამახინჯებს და დააკნინებს.

ერთ საინტერესო ამბავს გაგახსენებთ, რომელიც, შეიძლება, ბევრს არ ახსოვს.

2003 წლის აგვისტოს ბოლო, ან სექტემბრის დასაწყისი იყო.

თბილისში მძლავრი საპროტესტო გამოსვლები სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

პარლამენტის წინ ხალხმრავალი მიტინგი იყო შეკრებილი.

უცებ „რუსთავი-2“-მა პირდაპირ ეთერში მიხეილ სააკაშვილი ჩართო.

სააკაშვილი მოსკოვიდან, წითელი მოედნიდან, მიესალმა მომიტინგეებს, გაამხნევა, სიმტკიცისკენ, ერთიანობისკენ მოუწოდა და დაჰპირდა, რომ მალე ჩამოვიდოდა და შეუპოვარ ბრძოლას გააგრძელებდა.

ორიოდე თვეში „ვარდების რევოლუცია“ მოხდა და მოსკოვიდან სპეციალურად ამ მომენტისთვის ჩამოფრენილმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა, გამარჯვებული სააკაშვილის მარჯვენა მაღლა ასწია, მერე კი ბათუმში გაფრინდა და სააკაშვილის მთავარი ოპონენტი, ასლან აბაშიძე, მოსკოვში თან წაიყოლა.

მოდით და ამის შემდეგ თქვენ თვითონ გააკეთეთ დასკვნმა, ვინ მოახდინა „ვარდების რევოლუცია“ საქართველოში, დასავლეთმა თუ რუსეთმა და ვინ ახეირა ამ რევოლუციის შედეგად მოსულმა „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებამ — რუსეთი თუ დასავლეთი?

2003 წლის იმ პირდაპირი ჩართვის შემდეგ, რამდენიც სააკაშვილს დავინახავ, მის ზურგს უკან წითელ მოედანსაც ვხედავ კრემლის კურანტებიანად.

●

— სააკაშვილი პუტინის მძევალია! — გაჰყვირიან მომიტინგეები და მის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვენ.

ამ ადამიანების უმრავლესობამ, ალბათ, 99%-მა, არ იცის, რომ სააკაშვილი პუტინის მძევალი კი არა, პუტინის აგენტია, რომელიც მის საიდუმლო დავალებას ასრულებს — მისი მიზანია, შექმნას დესტაბილიზაცია ქვეყანაში, გამოიწვიოს არეულობა, სამოქალაქო დაპირისპირება, დაიღვაროს სისხლი, შემდეგ კი, როცა უმართავი პროცესები დაიწყება, სიტუაციის განსამუხტად და მშვიდობის დასამყარებლად, ისევ რუსები შემოვლენ და „დაგვაწყნარებენ“, როგორც ეს არაერთხელ გაუკეთებიათ.

შემოვლენო, კი ვამბობთ, მაგრამ შემოსასვლელი რა სჭირთ, დიდი ხანია, აქ არიან უკვე და სულ ერთი ნაბიჯის გადმოდგმა სჭირდებათ, რომ ჩვენს გვერდით აღმოჩნდნენ.

დიახ, რუსული სცენარის მიხედვით ხდება ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, თუმცა ისეა ეს ყველაფერი შეფუთული და მოწოდებული, თითქოს საპროტესტოდ განწყობილი მოსახლეობის ნაწილი ხელისუფლების და იმავე დროს ოკუპანტი რუსეთის წინააღმდეგ ილაშქრებს, ხოლო ამ საპროტესტო აქციებისა და მიტინგების ორგანიზატორები რუსული ინტერესების განსახორციელებლად კი არ იღვწიან, არამედ დემოკრატიის განსამტკიცებლად და დასავლური ღირებულებების დასამკვიდრებლად.

როგორც არქიფო უხსნიდა ასინეთას, უკუღმაა ეს ყველაფერი, უკუღმაო.

აგინე რუსეთს, უძახე ოკუპანტი, შენს ოპონენტებს რუსეთის მონები უწოდე, თავი დასავლური ორიენტაციის ერთგულ მიმდევრად და რუსეთის შეურიგებელ მტრად გამოაცხადე, მაგრამ საქმით ის აკეთე, რაც რუსეთის ინტერესებში შედის — აი, ის მარტივი და ბანალური სქემა, რითაც სააკაშვილი და მისი გუნდი მოქმედებდა და მოქმედებს დღემდე.

ამ ფარისევლურ, თვალთმაქცურ, დემაგოგიურ სქემაში, ცხადია, „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერთა უმრავლესობას გარკვევა უჭირს.

მათ სჯერათ ის, რასაც „ნაცმოძრაობის“ ლიდერები ეუბნებიან და გულწრფელად მიჰყვებიან იმ პათეტიკურ, გმირულ-ჰეროიკულ ლოზუნგებს, რომლებსაც ოპოზიციონერი პოლიტიკოსები სთავაზობენ.

რუსეთს ნაკლებად ანაღვლებს, ვინ რას იტყვის მასზე, მისთვის სულ ერთია, გვარამია შეაგინებს თუ გაბუნია, ხოშტარია დააყრის ქოქოლას თუ ნოდარიკო მელაძე, მისთვის მთავარია, რომ ამ ადამიანებმა თუ სხვებმა ხელი შეუწყონ დესტაბილიზაციის, ქაოსის, არეულობის პროვოცირებას და ესკალაციას.

სააკაშვილი, „ნაცმოძრაობა“, მისი სატელიტი პარტიები, ე.წ. ოპოზიციური ტელევიზიები ზედმიწევნით პროფესიონალურად ასრულებენ აგენტურულ-დივერსიული ქსელის სპეციფიკურ სამუშაოს — აგინებენ რუსეთს და, იმავდროულად, მის საქმეს აკეთებენ.

ასეთი სტილით მოქმედებდნენ ნაციონალები ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც და ოპოზიციაში გადასვლის შემდეგაც.

— დააბრალე სხვას, რაც შენ თვითონ ხარ! — ამ პრინციპს, როგორც

4 გვ. →

# მიხეილ სააკაშვილი რუსებმა თვითონ შემოიყვანეს საქართველოში და თვითონვე დააჭერინეს ქართველებს

## რუსები ცდილობენ, რევოლუციური ტალღა ააგორონ და ხელისუფლებაში გახარია მოიყვანონ

*გვესაუბრება პოლიტოლოგი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვაჟა შუბითიძე:*

**— ბატონო ვაჟა, ჩვენი საუბრის პარალელურად, რუსთავის ციხესთან აქცია მიმდინარეობს. ნაცების რიტორიკა უცვლელია — სააკაშვილი პუტინის პატიმარია, რუსეთის დავალებით მესამე პრეზიდენტს კლავენ და ა.შ. მუდმივად, გვესმის: ივანიშვილის ხელისუფლება რუსეთისკენ მიგვაქანებსო. რეალურად, „ნაციონალების" სახით, რა ძალასთან გვაქვს საქმე და თავად ხომ არ ასამენ წყალს რუსეთის წისქვილზე?**

— ქართულ სინამდვილეში „ნაციონალების" ფენომენი, საკმაოდ, უცნაურ ხასიათს ატარებს. უახლოეს ისტორიაში მსგავსი ტიპის



სექტის ჩამოყალიბება პირველად ხდება. „ნაციონალური მოძრაობა", კლასიკური გაგებით, პარტია არც არის, არამედ შეთქმულთა თუ სექტანტთა გარკვეული ჯგუფია. „ნაციონალები" საქართველოსთვის, უცხო სხეულია იმიტომ, რომ რასაც ისინი ქადაგებენ, ქართველებისთვის, აბსოლუტურად, უცხო და მიუღებელია. შემთხვევითი როდია ის, რომ უცხო ძალამ, რომელიც საქართველოს არამარტო სამხედრო-პოლიტიკურ, არამედ გეოგრაფიულ და კულტურულ განადგურებასაც ცდილობს, დასაყრდენი სწორედ ნაცებში ჰპოვა. ვგულისხმობ, „ვარდების რევოლუციას", რაც რუსების მიერ დადგმული სპექტაკლი გახლდათ. სააკაშვილის ამჟამინდელი შიმშილობაც, იმავე, სცენარით მიმდინარეობს. მხოლოდ ერთი რამით შეგვიძლია თავი ვინუგეშოთ — ბოლო 3-4 წელია ამერიკელები საქართველოთი სერიოზულად დაინტერესდნენ. განსაკუთრებით, ავღანეთიდან გამოსვლის მერე, რაც აშშ-მ დაინახა, რომ იქ, დარჩენა უპერსპექტივო იყო. ამიტომ, ავღანეთიდან გამოსვლას მოჰყვა ყურადღების გაძლიერება შავ ზღვასა და უკრაინაზე. ეს დადებითი მოვლენაა, რადგან ჩვენზე მეტი ყურადღება გადმოიტანეს. ეს იგრძნობა ამერიკელთა ყველა მცდელობაში, მოყოლებული საპრეზიდენტო არჩევნებიდან, როცა პირველად პრეზიდენტად — პოლიტიკურ ლიდერად ავირჩიეთ ადამიანი, რომელიც რუსეთს არ აწყობდა. მანამდე მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა, კერძოდ, საქართველოს ჰყოლოდა პრეზიდენტი, რომელიც რუსეთს არ აწყობდა. რუსების სტრატეგიული მარცხი, სწორედ, აქედან დაიწყო. 19–20 ივნისის მოვლენები — გავრილოვის ღამეც რუსების მიერ დადგმული სპექტაკლი გახლდათ, სადაც ნაცები წინასწარ დადგმულ სცენარს ლოზუნგებით მზად დახვდნენ. სინამდვილეში, ეს მცდელობა იყო, რათა გადატრიალება, რევოლუციური გზით, ხელისუფლების ჩანაცვლება მომხდარიყო. მაშინ შსს მინისტრი გახარია გახლდათ. სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით ვიცი, რომ მას ჰქონდა პირდაპირი მითითება — ეს ხალხი პარლამენტში შეეშვა. შემთხვევითი არ იყო, რომ 300-კაციანმა სპეც.რაზმმა მომიტინგეებთან ჭიდილში 250 ფარი დაკარგა. ასეთი რამ, როგორც წესი, არ ხდება. სპეც.რაზმის გაწვრთნილი ჯარისკაცი ასე იოლად რომ ჰკარგავდეს ფარს, ზოგადად, თავის შეიარაღებას, ეს როგორ წარმოგიდგენიათ. სხვათა შორის, „ნაციონალებს" გაწვრთნილი ზონდერ-ბრიგადები ჰყავდათ მოყვანილი. მხოლოდ, გოგონებს როდი მიადგათ ზიანი. ამ დროს ხშირია, როცა მშვიდობიანი, უდანაშაულო ხალხის დაზიანდება, კაცები თავს უფრო ადვილად შველიან-ხოლმე. მაშინაც, ასე მოხდა. როგორც კი აშშ-მ განცხადება გააკეთა: ეს ყველაფერი კონსტიტუციური მოქმედების ფარგლებს სცდებაო, უკვე, გასაგები გახდა — ნაცებს გადატრიალების მცდელობა ჩაეშალათ. რისთვის მოეწყო ეს არეულობა? სააკაშვილს ხელისუფლებაში ველარავინ დააბრუნებს. იგი, გამოყენებული კარტია. მას, რუსეთი, უბრალოდ, სიტუაციის დასაძაბვად იყენებს. მეტსაც გეტყვით: სააკაშვილი საქართველოში, თავად, რუსებმა შემოიყვანეს და ხელისუფლებასაც თავად ჩააბარეს. დიახ, რუსებმა მიშა საქართველოს ხელისუფლებას თავად დააჭერინეს. ეს დადგმული სპექტაკლი იყო.

თუ გამოუვა რუსეთს ამის განხორციელება ხომ კარგი, თუ არადა სააკაშვილის პრობლემა, თავისთავად, გადაჭრილი იქნება. მისი ციხეში ჯდომა, ახლა, ყველას აწყობს, მათ შორის, თავად ნაცების ლიდერებს — მელიებს და სხვებს, რომლებზეც მიშას კომპრომატები აქვს. სააკაშვილი ციხეში, ერთადერთი, ოჯახის წევრებს არ აწყობთ. ეს ყველაფერი სპექტაკლის სახით უნდა გაფორმდეს — შიმშილობა იქნება ეს თუ დიეტა და ა.შ. ეს რაიმე სერიოზულის მაუწყებელი არ არის. საინტერესოა ისიც, რომ ყოფილი პრეზიდენტი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რატომ შიმშილობს. რა არის მისი მოთხოვნა, ცოტა გაუგებარია. მას, შიმშილობის გამო, ხელისუფლებაში არავინ დააბრუნებს. ასე რომ იყოს, ყველა პატიმარი იშიმშილებდა და გარეთ გამოუშვებდნენ. საზეზეა სრულიად გაურკვეველი, ჩამოუყალიბებელი, უტიფარი მოთხოვნები და არასერიოზული მიდგომები. ვიმეორებ, „ნაცმოძრაობას" და თავად სააკაშვილს ხელისუფლებაში არავინ დააბრუნებს. ამის გაკეთებას, თავად რუსებიც კი ვერ შეძლებენ. რუსეთი, დღეს, შემდეგ საკითხზე მუშაობს: ქვეყანაში სარევოლუციო ტალღა ააგორონ და ხელისუფლებაში გახარია მოიყვანონ. ეს ყველაფერი, სინამდვილეში, გახარიასთვის კეთდება.

**— თქვენი თქმით, გამოდის სააკაშვილი პუტინმა შემოაპარა საქართველოში და უთხრა: ახლა, ასეა საჭირო, უნდა დაგიჭირონო?**

— რა თქმა უნდა, ასეა. ვინმეს ჰგონია, რომ სააკაშვილი აქ, თავისი ნებით შემოვიდოდა?! მან, უკრაინაში ცხოვრება მოიწყო, ორი სასახლე აიშენა, ამერიკაშიც სახლი აქვს და ახლა, ციხეში ჩასაჯდომად საქართველოში რატომ ჩამოვიდოდა?! არა, ბატონებო! იგი, იძულებული გახდა რუსეთს დამორჩილებოდა და აქ, დაბრუნებულიყო, რადგან იგი, პირდაპირ, მოსკოვიდან იმართება. მიშამ რუსეთს წინააღმდეგობა ვერ გაუწია. მან ხომ რუსებს მთელი სტრატეგიული ობიექტები ჩააბარა. ამიტომ, რუსებმა, შესაძლოა, „ქართულ ოცნებაზე" ზეწოლა მოახდინონ და სააკაშვილი ციხიდან გამოაშვებინონ. რუსებს მიშას სიკვდილი არაფერში აწყობთ, შეიძლება, კიდევ გამოადგეთ რამეში. სააკაშვილი თავიდანვე პუტინს ემორჩილებოდა და ახლა, მისი პატიმარი რანაირად გახდა?!



დიახ, სააკაშვილი, ყოველთვის, პუტინის მორჩილი მსახური იყო და მისი პატიმარი ვერანაირად ვერ იქნება. ეს ბლეფია.

**— ანუ, რაც ახლა, ხდება წმინდა რუსული სცენარია და სხვა არაფერი? გავრილოვის ღამეც ამის ნაწილი იყო?**

— არა მხოლოდ გავრილოვის ღამე. გავიხსენოთ, ის პერიოდი, როცა გახარიამ პანკისში სპეც. რაზმი შეიყვანა. იქ, პროვოკაცია დაიგეგმა. ფაქტობრივად, ტრაქტორი აქედან შეიყვანეს და ცეცხლი თავად მოუკიდეს, შედეგად, ვითომ, დაპირისპირება შედგა, ატყდა ქვების სროლა და ა.შ. იქ, სცენარით, სერიოზული დაჯახება უნდა მომხდარიყო და შესაძლოა იარაღიც ყოფილიყო გამოყენებული. განზრახვა ასეთი იყო: კადიროვი პანკისში სპეცრაზმით უნდა შესულიყო და ხეობა დაეკავებინა. ამის განხორციელებას ამერიკელებმა გადაგვარჩინეს. მათ რუსებს ეს სცენარი ჩაუშალეს. ასევე, გავიხსენოთ: დმანისში აზერბაიჯანელებისა და ქართველების შეტაკება. ესეც, რუსების მოწყობილი იყო. ეს ამბავი ასე ადვილად არ ჩაცხრებოდა რომ არა ამერიკის ჩარევა. აშშ-მ, პირდაპირ, ალიევს დაურეკა და გააფრთხილა: სიტუაცია ჩაეწყნარებინა. ანუ, გადატრიალების ყველა მცდელობა, რაც რუსებმა საქართველოში მოაწყვეს, ამერიკელებმა წარმატებით ჩაშალეს. როგორც იცით, ახლახან, საქართველოში ამერიკის თავდაცვის მდივანი ლოიდ ოსტინი იყო ჩამოსული. ეს, აშშ-ს მხრიდან პირდაპირი მესიჯია: რევოლუციას არ მოგაწყობინებთ და საქართველოში ვერც ჯარით შეხვალთო. ამერიკის თავდაცვის მდივანი ასე ჰაი-ჰარალოზე როდი სტუმრობს ქვეყნებს. უბრალო ვიზიტი რომ ყოფილიყო, მაშინ სამხედრო წვრთნების დროს ჩამოვიდოდა. მაგრამ ახლა, სპეციალურად ჩამოვიდა და რუსებს მესიჯი გაუგზავნა — საქართველოში სიტუაციას არ აგარევინებთ, ხელისუფლებაში ნაცებს ვერ მოიყვანთო. ასე, რომ დღეს ამერიკელები, პოლიტიკურ დუელს, სერიოზული უპირატესობით იგებენ. რუსები აქ, ომის წამოწყებას ვერ გაბედავენ, რადგან დიდ სანქციებს აიკიდებენ. ყირიმის გამო რუსეთმა, სანქციების სახით, დიდი ზარალი განიცადა. ახლა, კიდევ, დამატებითი სანქციების აკიდება, მისთვის, პირდაპირ, სიკვდილის ტოლფასია. ამიტომ, ვერც აქ, შემოსვლას გაბედავს და ვერც გადატრიალების რეალურ მცდელობას.

**— ფაქტობრივად, რუსეთი, ამ მიმართულებით, 2012 წლიდან მუშაობს, მაგრამ შენიღბვას ისე კარგად ახერხებენ, რომ ეს დასავლეთის ზეწოლად საღდება. ესეც, პუტინის გეგმაა?**

— რატომ ზის ციხეში სააკაშვილი? — კოსტუმების საქმეზე და არა იმაზე, რომ ქვეყანა დაალალატა, ტერიტორიები დაკარგა და სამხედრო დანაშაული ჩაიდინა. ახლა, კიდევ, მის დასჯას საზღვრის გადმოკვეთაზე აპირებენ.

„ქართულმა ოცნებამ" ნაცები სამჯერ გადაარჩინა: პირველი — როცა გახარია პრემიერობიდან გადადგა. უკვე, მეორედ, როცა შარლ მიშელის დოკუმენტიდან თავად „ქართული ოცნება" გამოვიდა და ამით, ნაცები კიდევ ერთხელ გააცოცხლა. და მესამე – როცა სააკაშვილი დაიჭირეს და კვლავ ნაცების რეაბილიტაცია მოხდა. მმართველი ძალის პოლიტიკა მთავარი ოპოზიციური ძალის მიმართ, ხშირად, ძალიან არათანმიმდევრულია. ხალხი ამით გაღიზიანებული და უკმაყოფილია.

**— სხვათა შორის, ნაცები არც მალავენ კრემლის დავალებას რომ ასრულებენ.**

— დიახ, ამას ვერც დამალავენ, ეს, უკვე, ცხადზე-ცხადია. ყველა ოპოზიციური ტელევიზია: „მთავარი", „ფორმულა", „ტვ პირველი" და ა.შ. რუსეთიდან ფინანსდება. მათ, სინამდვილეში, რუსები აკონტროლებენ. აბა, ვატო წერეთელი ვინ არის, ვინ ჰკითხავს მას რაიმეს გადაწყვეტას. ან თქვენ გგონიათ, გვარამიას ეკითხება ვინმე რამეს?! იცით, სად არის განთავსებული გვარამიას ტელევიზია? — იგორ გიორგაძის შენობაში. ამაშია მთელი უბედურება, რომ ხალხმა ეს ყველაფერი არ იცის და საზოგადოებით მანიპულირებენ. რაიონებში ხალხი „ტვ პირველს", ფორმულას", „მთავარს" უყურებს. ამიტომაც არის, რომ ნაცების რეიტინგი გამოსწორდა. ხალხს სიმართლე



4 გვ. →

# რუსული ბომბი რუსთავის ციხეში

← 2 გვ.

თავდასხმის და, იმავდროულად, თავდაცვის საუკეთესო საშუალებას, ნაციონალები სისტემატურად იყენებენ ბიძინა ივანიშვილის და „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ.

ბიძინა ივანიშვილს, რომელსაც ერთი ლარის ღირებულების არაფერი დაუთმია რუსეთისთვის, რუსეთუმეობას აბრალებენ ისინი, ვინც ლამის ნახევარი საქართველო რუსებს უფეშქაშა.

„ქართულ ოცნებას“, რომელსაც ერთი გოჯითაც არ გადაუხვევია დასავლური ორიენტაციისთვის, რუსული ორბიტისკენ გადახრას აბრალებენ ისინი, ვინც 2008 წლის პროვოკაციული ომით რუსეთს დიდი ხნით განუმტკიცა პოზიციები საქართველოში და ქვეყნიდან გაყვანილი რუსული ჯარები უკან შემოაბრუნა.

აი, ამ გაუგონარი უტიფრობისა და ფარისევლობის ატმოსფეროში უწევს დღეს საქართველოს იმ ვერაგი მტრის მოგერიება, რომლის სამსახურში, ნებსით და უნებლიეთ, ათასობით და ათიათასობით ქართველი ჩამდგარა და საკუთარ სამშობლოს დიდი ხალისითა და ენთუზიაზმით უტევს.

როგორ უნდა გავაგებინოთ ჩვენ ამ ათიათასობით ქართველს, რომ მტრის მხარეს იბრძვიან, როცა მათი ტვინების გამორეცხვაზე 24 საათის განმავლობაში სამი ტელევიზია მუშაობს და საკმარისია, მათ წინააღმდეგ ვინმემ ხმის ამოღება გაბედოს, ჩვენი დასავლეთელი მეგობრები მყისვე განგაშს ტეხენ: სიტყვის თავისუფლებას, გამოხატვის თავისუფლებას, დემოკრატიას ებრძვით თქვენო.

დემოკრატიას კი არ ვებრძვით, თავის დაცვას ვცდილობთ, საკუთარი სახელმწიფოს დაცვას ვცდილობთ, იდეოლოგიური დესანტის ძირგამომთხრელი საქმიანობისგან, მაგრამ ფოტიგები და კუბილიუსები ამის უფლებას არ გვაძლევენ.

ვინ ხართ თქვენ, ჩვენს მეგობრებად რომ ასაღებთ თავს და ამ დროს ჩვენი მტრის ფარული მოკავშირეებივით რომ იქცევით და ხელებზე დემოკრატიის ბორკილებს გვადებთ, რომ ასე შებოჭილებს და შებორკილებს, თამამად გვიბათქუნონ მელიებმა და ხოშტარიებმა, ბოკერიებმა და ხაზარაძეებმა, გვარამიებმა და მელაძეებმა, გრიგოლიებმა და სანაიებმა...

●

სუს-მა საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაში გამართული შეხვედრების ჩანაწერები გამოაქვეყნა, სადაც სახელმწიფოს მიმართ მიმართულ შეთქმულებაზეა საუბარი.

მადლობა სუს-ს ამ ჩანაწერისთვის, თუმცა აქვე უნდა ითქვას: რატომ მხოლოდ ბიბლიოთეკაში გამართულ შეხვედრებზე აღმოაჩინეთ შეთქმულების ნიშნები, განა ყოველდღე მსგავს შეთქმულებებს არ აანონსებენ ე.წ. ოპოზიციური ტელევიზიები, ე.წ. ოპოზიციონერი პოლიტიკოსები, გაურკვეველი წარმოშობის ე.წ. სამოქალაქო აქტივისტები?

მეცხრე წელია, საქართველო მუდმივი შეთქმულებებისა და მუდმივი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის საფრთხის ქვეშ ცხოვრობს,

მართალია, თავს იმით ვინუგეშებთ, რომ ამ ხნის განმავლობაში ვერც ერთხელ ვერ გადაგვატრიალეს და, დიდი ალბათობით, ვერც მომავალში მოახერხებენ ამას, მაგრამ მაინც არა მგონია, დიდად სახარბიელო და სასიხარულო მდგომარეობაში ვიმყოფებოდეთ და თვითკმაყოფილებას უნდა მივეცეთ.

გადატრიალებით ვერ გადაგვატრიალეს, მაგრამ იმ ამბავს რა ვუყოთ, ამ გაუთავებელ ორომტირალსა და ძიძგილაობაში ქვეყანა რომ ზარალდება და ზიანდება და ეროვნული ენერგია ამ წუპაკი მამაძაღლების მოგერიებაში რომ იხარჯება, იმის ნაცვლად, რომ ეს ენერგია სახელმწიფოს განვითარებას და წინსვლას მოხმარდეს.

მატერიალურ ზიანს რომ თავი დავანებით, რით შეიძლება აიზომოს ის ფსიქოლოგიური სტრესი, რასაც ეს არამზადები ქვეყნის მოსახლეობას აყენებენ.

ყველანი ვთანხმდებით, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება, რომ ეს უბედურება უნდა დავასრულოთ, მაგრამ როგორ და რანაირად უნდა დავასრულოთ, ამის შესახებ საერთო დასკვნამდე ვერ მივსულვართ და, ალბათ, ვერც მივალთ, სანამ არ ვაღიარებთ, რომ „ნაცმოძრაობა“ პოლიტიკური პარტია კი არა, მტერია, ტერორისტული ორგანიზაციაა, მეხუთე კოლონაა, რომელიც მტრის ინტერესებს ემსახურება და მტერთან მჭიდრო კავშირში მოქმედებს საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ.

თუ ამას გავაკეთებთ, მაშინ იმ სამოქმედო გეგმის კონტურებიც გამოიკვეთება, რომლითაც შეიძლება მტერს ისეთი პასუხი გასცე, როგორსაც მტერი იმსახურებს.

●

კარგად დაიმახსოვრეთ, ძვირფასო მეგობრებო, რუსთავის №12 დაწესებულებაში რუსების მიერ შემოგზავნილი ბომბი დევს, რომელიც გზაში ვიპოვეთ და სახლში წამოვიღეთ.

„პრედახრანიტელი“ აქვს ამ ბომბს გაფუჭებული და, ემანდ, ფრთხილად ვიყოთ — მოულოდნელად არ აფეთქდეს...





**მინაწერი:**

**— ხელისუფლება სააკაშვილს მიზანმიმართულად კლავს, სააკაშვილი უკვე ორმოცი დღეა, რაც შიმშილობს. სააკაშვილი სიკვდილს ებრძვის! — ასეთ საგანგაშო განცხადებებს აკეთებდნენ სააკაშვილის თანაპარტიელები და „ნაცმოძრაობის“ ჯიბის ტელევიზიები, რადგან როცა დგება კრიტიკული მომენტი, მოშიმშილეს ვერანაირი კლინიკა ვერ უშველის. სრული სიცრუე და დემაგოგიაა ეს ყველაფერი.**

**„ნაშიმშილევმა“ და „სულთმობრძავმა“ მიშამ ერთ ბადრაგს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, ხოლო დანარჩენებს ისეთი წინააღმდეგობა გაუწია, ხუთმა თუ ექვსმა კაცმა ძლივს გადმოიყვანეს მანქანიდან.**

**სააკაშვილის მეგობრებს, მის თანამებრძოლებს, მის ახლობლებს, მის მხარდამჭერებს თუ მართლაც რამეში ენაღვლებათ და ედარდებათ სააკაშვილის სიცოცხლე, მაშინ ისინი სააკაშვილის სადღაც გადაყვანას კი არ უნდა ითხოვდნენ, არამედ სააკაშვილს უნდა არწმუნებდნენ, რომ აუცილებელია შიმშილობის შეწყვეტა.**

**რამდენი ხანია, მრავალრიცხოვანი მიტინგები იმართება სააკაშვილის მხარდასაჭერად, მაგრამ თუნდაც ერთხელ მაინც თუ თქმულა ვინმესგან: ჩვენ შენ ცოცხალი გვჭირდები და შეწყვიტე შიმშილობა, ძვირფასო მიშაო?**

**ნუთუ მართლა არავის სჭირდება ცოცხალი ეს უბედურ დღეზე გაჩენილი კაცი, მის მიერვე დაგეგმილ ავანტურაზე რომ წამოეგო და ხაფანგში რომ ამოჰყო თავი.**

**ხელისუფლება კლავს სააკაშვილსო, რომ გაჰკივიან ვიღაც-ვიღაცები, ხელისუფლება კი არა, თუ ვინმე კლავს დღეს სააკაშვილს, პირველ რიგში, მისიანები კლავენ, რომ მისი სიკვდილი მერე ხელისუფლებას დააბრალონ და ახალი საპროტესტო ტალღა ააგორონ.**

**სხვა გზა არ არის — სააკაშვილი სისხლს მოწყურებული მისიანებისგან ირაკლი ღარიბაშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“ უნდა დაიცვას და დაიცავენ კიდევაც.**

**გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან პოლიტიკური ნიშნით მოშიმშილე ადამიანების მეტი რა გვინახავს, რომლებიც ფაფას კი არ ჭამდნენ, მართლა შიმშილობდნენ, მაგრამ არავინ მომკვდარა.**

**არც სააკაშვილი მოკვდება, ტყუილად გაქვთ მაგის იმედი, ნაციონალებო და ნაციონალებს მიტმასნილო პოლიტიკურო წვრილფეხობავ.**

# მიხეილ სააკაშვილი რუსებმა თვითონ შემოიყვანეს საქართველოში და თვითონვე დააჭერინეს

← 3 გვ.

ჰგონია, რასაც მას ეს ტელევიზიები ჩასჩიჩინებენ. ხელისუფლება კი, სამწუხაროდ, ამის საწინააღმდეგოდ, არაფერს აკეთებს.

ოპოზიციის 99%, ფაქტობრივად, რუსეთიდან იმართება და მისი აგენტურაა, რაც ბევრჯერ დამტკიცდა. ჯერ კიდევ, „ეროვნული მოძრაობიდან“ მოყოლებული, ზვიად გამსახურდიას გარშემო, პარლამენტში, მთავრობაში სულ რუსული აგენტურის მატარებელი ხალხი იყო. ამიტომ, დასრულდა ყველაფერი საშინელი კოლაფსით — თავად გამსახურდიაც დაიღუპა და ეროვნული იდეაც, ფაქტობრივად, იმ აგენტურამ მოკლა, რომელიც რუსეთის მიერ ჯერ კიდევ 80-იან წლებში იყო აქ, ჩანერგილი.

**— ამ ყველაფერში სიცხადე ვინ უნდა შეიტანოს? ნაცები თავგამოდებით ამტკიცებენ პრო-რუსული ძალა ვართ და ივანიშვილი თავისი პრო-რუსული ორიენტაციით ქვეყნის აღმშენებლობას გვაფერხებინებსო.**

— ხელისუფლებაში ნახევარზე მეტი ყოფილი ნაცები არიან. ქალაქის მერების 80%, ვინც ახლა, „ქართული ოცნების“ სიით ავირჩიეთ, ყოფილი „ნაციონალია“. ყველაფერი ერთმანეთშია გადახლართული. „ქართულ ოცნებას“ უნიათოს ეძახიან. მას ამის საპასუხოდ თავის დაცვაც არ შეუძლია და ხალხს როგორ დაიცავს. ივანიშვილის ადგილას რომ ვყოფილიყავი, „ქართული ოცნების“ სრულ შემადგენლობას დავითხოვდი. ახალი სისხლია საჭირო.

**— ევროპარლამენტარები, რომლებიც ვითომ, ამ პრო-დასავლური ორიენტაციის ძალას გუნდრუკს უკმევენ, ესეც რუსული აგენტურაა?**

— რუსეთს ამერიკაშიც და დასავლეთ-ევროპაშიც უამრავი ხალხი ჰყავს ნაყიდი. მათ გერმანიის ყოფილი კანცლერი იყიდეს და როგორ ფიქრობთ, უბრალო ევროპარლამენტარებს ვეღარ იყიდდნენ?! რუსეთს ევროპარლამენტში ჰყავს რამდენიმე ადამიანი, ვისაც თავისი ინტერესების სასარგებლოდ იყენებს, რომელთაც ევროპაში არანაირი ავტორიტეტი არ გააჩნიათ. რუსებს ამერიკაში, ევროპაში შექმნილი აქვთ ფონდები, რომლებიც საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციებს აფინანსებენ. მერე, იძახიან: დასავლეთი გვაფინანსებსო. სინამდვილეში, დასავლეთი კი არა, მათ რუსეთი აფინანსებს. საქართველოში ყველა შემოსავლიანი ბიზნესის 99% რუსების საკუთრებაა, მათ შორის, ფარმაცევტული ქსელები. ასევე, ბანკები, მათ შორის, „თი-ბი-სი“. მეტიც, მამუკა ხაზარაძე„თი-ბი-სი ბანკში“ რუსების დანიშნულია. ვინმეს ხომ არ ჰგონია, რომ ეს ბანკი მართლა ხაზარაძისაა?! გარდა ამისა, რუსებისაა მთელი სასტუმროებისა და ტურისტული ბიზნესი, ჰესები, ოქროს წარმოება, „ბორჯომი“, ჩამოსასხმელი წყლები და ა.შ. ღვინის ქარხნები, რომლებიც ხალხს ქართული ჰგონია, ესეც რუსებისაა. რუსები საქართველოს ტოტალურად აკონტროლებენ და ჩვენგან, ყოველწლიურად გარდა იმისა, რომ ტერიტორიები წაგვართვეს, 4 მილიარდი დოლარის შემოსავალი გააქვთ. პლუს, რუსებს მიაქვთ მთელი შემოსავალი, რაც საქართველოს „ბაქო-ჯეიჰანიდან“ უნდა რგებოდა. 15 წლის განმავლობაში, საქართველოს, 15 მილიარდ დოლარამდე თანხა უნდა მიეღო, მაგრამ ამის ნაცვლად, წელიწადში, მხოლოდ, 60 მილიონ დოლარს გვაძლევენ, დანარჩენი, რუსებს მიაქვთ. აი, ასე ტოტალურად გვძარცვავენ. ფასების მატებაც ამით არის განპირობებული — რუსებს რა ენაღვლებათ აქ, თუ წამალი ძვირდება, ბანკის პროცენტი მაღალია, ეს ყველაფერი ხალხის კისერზე გადადის.

**— ნაცები დესტრუქციას არ ეშვებიან. გამოსავალს რაში ხედავთ?**

— ახალი ძალა უნდა გამოჩნდეს, ნაცები, ამ აქციებით, ვერაფერს მიაღწევენ — იფაფხურებენ და საახალწლოდ ყველაფერი ჩაწყნარდება. თუმცა, ვფიქრობ: შეიძლება, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს. ეს დასავლეთის მოთხოვნაცაა. მე, თუ მკითხავთ, შეიძლება ეს კარგი ვარიანტი იყოს. ასე უფრო ნათლად დავინახავთ: რეალურად, ვის უჭერს ხალხი მხარს. ვადამდელი არჩევნები თუ დაინიშნა, საზომი სხვაგვარი იქნება. ნაცების პარპაში უნდა დამთავრდეს. მათ შორის, თუ „ქართულმა ოცნებამ“ ასე გააგრძელა, ისიც უნდა წავიდეს და ახალი ძალები მოვიდნენ, ოღონდ, არა გახარია, რომელიც რუსული პროექტია.





**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# საქართველოშიც ის უნდა მოხდეს, რაც პოლონეთში მოხდა – ხალხმა ზონდერტელევიზიებს ბოიკოტი უნდა გამოუცხადოს!

***გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტ.პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:***

— 1 ნოემბერს მაკა რაზმაძემ მიმიწვია გადაცემაში „ჩაი"და სრულიად მოულოდნელად „ნაციონალებში"აღმოვჩნდი. ჩემთან შეთანხმებული არ იყო ის, რომ ვიღაც ლგბტ წარმომადგენელი ეთერში დამიჯდებოდა და უხამსად მომმართავდა. ამდენი შეურაცხყოფა ციხეში არ ამიტანია. 1974 წელი იყო პირველად მიტინგზე რომ ვიყავი. მას მერე, 1975 წლიდან ქუჩაში ვდგავარ და გული მწყდება, რომ შედეგი ნულია. განხორციელდა ჩართვა გიორგი ჩალაძესთან. არც კი ვიცნობ. რაც მან ჩემთან მიმართებაში იკადრა, თუ უყურეთ, ალბათ, მიხვდებით, რომ მას კაცი ნაკლებად შეიძლება ვუწოდოთ. ნუთუ, ამ წლების მანძილზე ჩალაძისნაირებისთვის ვიკლავდი თავს რომ ასეთი საზოგადოება მიმეღო?!



იმ დღეს, ჩემზე, ბულინგი განხორციელდა. ლგბტ წარმომადგენელთან, მე, რა საქმე მქონდა! ამ გადაცემას დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ძალიან ბევრი ადამიანი დამიდგა გვერდით. ისეთი ამბავი ატყდა, სულ უკან შეუტრიალდათ. სრულიად მოულოდნელი იყო გიორგი ჩალაძის საქციელი. კაცს არ ვიცნობ და კორუფციაში მდებს ბრალს.

**— თქვენ, საზოგადოებას, მსგავსი ტელევიზიების მიმართ, პროტესტის ფორმის მოფიქრებისკენ მოუწოდეთ.**

— დიახ. თავად ვიცი, რაც უნდა გავაკეთოთ: პოლონეთის მსგავსად ზონდერ ტელე-არხები უნდა გამოვრთოთ. ასევე, ამ ტელევიზიების გადაცემებში სტუმრობა სირცხვილი უნდა იყოს. მათთან მისვლას, ბოიკოტი უნდა გამოვუცხადოთ!

ეს, ერთი ზონდერ-არხის წინააღმდეგაც რომ გააკეთო, უკვე, პრეცედენტი შეიქმნება. შედეგად, სხვებს ეცოდინებათ: თუ ჩირქს მოგვცხებენ, მათ ტელევიზიებსაც დავხურავთ. ამას, არც მეტი, არც ნაკლები, ხალხი გააკეთებს. სწორედ, ასე მოიქცნენ პოლონელები და შემდგომ ტელევიზორები ფანჯრებში გამოდგეს ნიშნად იმისა, რომ არ გისმენთო. ამის შემდეგ, იმ ხალხს უნდა მივადგეთ, ვინც ამ ტელევიზიებში რეკლამებს დებს. ხალხს ნათლად უნდა ვუთხრათ: აი რა საძაგლობას აფინანსებს ესა თუ ის ბიზნესი და მათი წარმოებულიი საქონელი აღარ შეიძინონ. ის ბიზნესმენები, რომლებიც ამ ფაშისტ ნაცებს აფინანსებენ, უნდა გავაკოტროთ. მთავარია, წინააღმდეგობის ძალა შეიქმნას. ხომ ხედავთ, ხელისუფლებას ამის გაკეთება არ ძალუძს. ამიტომ, ეს სატანური ძალა, თავად, საზოგადოებამ უნდა მოვიშოროთ. რა აღარ გადავიტანე, კაგებეს იზოლატორები მაქვს მოვლილი. ახლაც, თავს გავწირავ, რათა ნორმალური საზოგადოება მივიღოთ და ეს ნაგავი ნაცები ჩამოგვშორდნენ. ეს უნდა გავაკეთოთ. ამაში ყველაფერს ჩავდებ, რათა ეს რეალურად განხორციელდეს.

**— ქალბატონო ნანა, სააკაშვილის შიმშილობაზე რას იტყვით?**

— თამარ, როდესაც შიმშილობას სააკაშვილს უკავშირებენ, ეს, ჩემთვის, მტკივნეული თემაა. ეს საკითხი მტკივა, თუნდაც, შეკითხვის დასმის სახითაც კი. რასაც სააკაშვილი აკეთებს, ეს, პროფანაციაა. თაღლითობას შიმშილობად ასაღებს. გულ-მუცელი მეწვის. მე და ჩემი მეგობრები, ჩვენი იდეალებისთვის, ახალგაზრდობის ასაკში ციხეში ჩავჯექი თ. შიმშილობა, რეჟიმის წინააღმდეგ, ჩვენი ბრძოლის იარაღი იყო. ჩვენ ფასეულობების, ღირებულებების დასამკვიდრებლად ამ იარაღს სიცოცხლის ფასად ვიყენებდით. ნაძირალა, თაღლითი სააკაშვილი — კაცების გამაუპატიურებლების პარტიის შემქმნელი, ამ იარაღს, ასე, ბინძურად იყენებს. რომელ შიმშილობაზე ვლაპარაკობთ, ეგ, დიეტასაც ვერ დაიცავს. მას ხინკალი ან ლობიო ქოთანში თუ მოუნდა, ტვინი ეკეტება. რას ბოდავს: ხმას ავრცელებს, ვითომ, შიმშილობს. მისი დამქაშები გაჰყვირიან: საავადმყოფოში გადაიყვანეთო. ხუთ-ვარსკვლავიანი სასტუმრო არ უნდა?! საავადმყოფოში რისთვის უნდა გადაიყვანონ. ჯერ ერთი, სხვა მოშიმშილე პატიმრები ციხეში არიან და ეგ, რით არის ვინმეზე მეტი?! სხვა პატიმრებს კაცების გაუპატიურების პარტია რომ არ შეუქმნიათ, ხელკეტებით რომ არ აუპატიურებდნენ მამაკაცებს და წამებით არ კლავდნენ, ამიტომ არიან მიშაზე ნაკლები?!



დისიდენტობის ჟამს, როცა მეგობრებთან ერთად ციხეში ვშიმშილობდი, ჭამას რომ გვაიძულებდნენ, „ამერიკის ხმა" და სხვა რადიო-სადგურები საუბრობდნენ იმაზე, რომ ჩვენზე იერიში მოიტანეს და იძულებით გვკვებავდნენ. ამას, იძულებით კვება ერქვა. კანონი იმას კი არ განიხილავს, რომ უნდა გაჭამოს, პირიქით, ამის იძულება არ შეიძლება. იდეალებისთვის შიმშილობა, თავგანწირვა გმირობის ტოლფასია ისე როგორც ომში დაღუპვის დროს ხდება. ეს შენი მრწამსისთვის ჩადენილი გმირობაა. თუ სააკაშვილს უნდა რომ იშიმშილოს და შეეწიროს, ასეც უნდა მოხდეს. ესენი გამოდიან და ყვირიან: ხელისუფლება მესამე პრეზიდენტს გვიკლავსო. ეს აბსურდია. ახლა, განვიხილოთ: რა მოთხოვნა აქვს სააკაშვილს, რატომ შიმშილობს. ერთადერთი რასაც ითხოვს: გაუხსნან ციხის კარები და გამოუშვან. ასე, ხომ სხვა პატიმრებიც იშიმშილებენ: გამიხსენით ციხის კარებიო. მაშინ, თუ შიმშილობა ამის მექანიზმია, გავხსნათ ციხეები და კრიმინალები გარეთ გამოვუშვათ. როგორ შეიძლება ამ აქტის ასე დაკნინება, ეგ მართლა დაკნინებული არარაობა. როგორ აკნინებს იმ ადამიანებს, ვინც შიმშილობით მართლა მზად არის, თავის მრწამსისთვის, ქვეყნისთვის სიცოცხლე გასწიროს. ვინ არის ეს მახინჯი წარმონაქმნი ამდენს რომ ბედავს — თაღლითობას შიმშილობა დაარქვა.

მან საქართველო გაყვლიფა. ესოდენ დიდი ზიანი ქვეყანას რომელმა პატიმარმა მიაყენა.

ყველა პატიმარს ერთად აღებულს არ აქვს იმდენი დანაშაული ჩდენილი, რაც სააკაშვილმა ჩაიდინა. ციხეში გაუპატიურების სისტემა შექმნა, პატიმრებს ცემისგან ხერხემალში ამტვრევდნენ. ისინი ციხიდან დაინვალიდებული გამოდიოდნენ. პატიმრები სასამართლო პროცესებზე ეტლებით გამოჰყავდათ. ამის რეჟისორი სააკაშვილი გახლდათ.

ხომ არ დაგვავიწყდა, რომ საერთაშორისო კვლევებით, პატიმრების რაოდენობით, პირველ ადგილზე ვიყავით. ეს პატარა საქართველო პატიმრების ოდენობით ჩინეთს უსწრებდა. ერთადერთი ამერიკა იყო მოწინავე ადგილას, სხვა ვერავინ „გვჯობდა". სააკაშვილის მმართველობის პერიოდში მოხდა პირველად ის, რომ პატიმრების რიცხვით ყველა ქვეყანას გავუსწარით. ნაცებს რომ ჰკითხო: ჩვენს დროს კრიმინალი არ იყოო. თუ ეს სიმართლეა, მაშინ პატიმართა რაოდენობით პირველ ადგილზე რატომ ვიყავით.?! მაშინ, ვის იჭერდნენ, უდანაშაულო ხალხს?

კოაბიტაციის შედეგია ის, რაც გვჭირს. გერმანელებმა პირველი რაც გააკეთეს, ფაშისტები ბიზნესებს ჩამოაშორეს და ყველა დამნაშავეს პასუხი აგებინეს. ისინი სახელმწიფოზე, მის მომავალზე ფიქრობდნენ. მომავალი სამართლიანობის, კანონის უზენაესობის გარეშე არ არსებობს. სად წერია, რომ თანამდებობა ხელშეუხებლობას უზრუნველყოფს. ესენი ახალ სტანდარტს ამკვიდრებენ — პრეზიდენტის გასამართლება არ შეიძლებაო. კი მაგრამ მსოფლიო მასშტაბით 101 პრეზიდენტი თუ გასამართლდა, ეს, ჩვენი, 102-ე წითელი კვერცხია? ასეთი რა სტატუსი აქვს, მისი გასამართლება რომ არ შეიძლება!

**— როგორც მოსალოდნელი იყო, ოპოზიცია გაყალბებულ არჩევნებზე ალაპარაკდა და უკვე, რევოლუციასაც აანონსებენ.**

— დიახ, მათ ზუსტად იციან, რომ არჩევნების გზით, ხელისუფლებაში ვერ მოვლენ.

პოლიტიკა კრიმინალებით გაივსო. დიახ, საქართველოში პოლიტიკა კრიმინალთა თავშესაფარი გახდა. კრიმინალი გრძნობს, რომ თუ პოლიტიკაში წავა, ხელშეუხებელი იქნება. ციხეში არ ზის იმდენი კრიმინალი, რამდენიც პოლიტიკაშია. ეს ნორმალურია? ასეთი ქვეყანა როგორ უნდა განვითარდეს?

**თამარ შველიძე**
555 23 28 24





# გიული ალასანაია, პატიმარი მიშა და ცხელი ფაფა





რუსთავის ციხის პატიმარ სააკაშვილის დედამ გიული ალასანიამ ვოლოდიმირ ზელენსკის მიმართა: მიშველეთ, შვილი მეღუპებაო.

დედილო გიულას გვერდით ახალი რძალი, დადარდიანებული ლიზა აეტუზა თავისკანტურით: კი, კი, მიშა ტანჯვაშიაო.

ჯერ ერთი, ვოლოდიმირს თავისი გასჭირვებია, ახლა მიშასთვის არ სცხელა და რომც ეცალოს, რად უნდა მიშა უკრაინაში, როცა ის ზედმეტი ბარგი და თავის ტკივილია...

რაც შეეხება ლიზას, მან არ იცის, რომ მიშა ბავშვობიდან



„ტანჯვაშია“ თავისი არასრულყოფილების კომპლექსისა და ლაბილური ფსიქიკით გამოწვეული სულიერი და ფსიქიკური უბედურობით.

მაგრამ ეს მშვენივრად იცის დედილო გიულამ, როგორც გურულები იტყვიან მისნაირებზე, ამ „ბებერმა ხოჯამ“ და კიდევ მიშას ბიძამ თემურ ალასანიამ, რომელიც სიჭარმაგეშიც კი ავანტურიზმით აღტაცებული აგრძელებს საქართველოს დაქცევისთვის ბრძოლას.

ამ ორმა ბოროტმა შექმნეს ავადმყოფი მიშასგან, ვითომდა, კაცი — ადგნენ და ეს ოყლაყი კგბ-ს სკოლაში შეტენეს.

მერე, გასული საუკუნის 90-იან წლებში, ქართული სახელმწიფოებრიობის დამხობის სისხლიან ტალღას მოჰყვა სააკაშვილი ქართულ პოლიტიკაში. ეროვნული ხელისუფლების დამანგრევლად აღიარებული ედუარდ შევარდნაძის მიერ შექმნილ „მოქალაქეთა კავშირში“ „გამობრწყინდა“ პირველად მისი პოლიტიკური ვარსკვლავი და როცა ვამბობთ, ვინ უბიძგა და ვინ უმაგრებს ზურგს მიხეილ სააკაშვილსო, უნდა გავიხსენოთ და გავითვალისწინოთ 90–2000-იან წლებში ყველაზე დიდი პოლიტიკური გავლენები საქართველოში რომელ სახელმწიფოს ჰქონდა და მივხვდებით, ვინ ათამაშებს ამ არენაზე საცოდავ მიხეილს...

...ახლა ქალბატონი გიული ნაღვლობს, იასკო თვალებს ნაბავს, სანდრა კი არსად ჩანს.

სანდრა (ელისაბედ) რულოვსი, რომელიც, ეცადა კაცად ექცია არაადექვატური მიხეილი, ახლა თამაშგარე მდგომარეობაშია.

უმადურობავ, პირველ რიგში, მიხეილი უნდა გერქვას შენ, დედილო გიულიც უნდა გერქვას და თემურა ალასანიაც...

უმადურები მარტო სანდრას მიმართ კი არა, თვითონ მიშას მიმართაც არიან. იყენებენ ამ საცოდავს — გიულიც და თემურიც — და-ძმა, როგორც მიზნების მისაღწევ რესურსს და არც ეცოდებათ, ისე სწირავენ.

მიშა რომ არა, თემურ ალასანია, როგორც ამბობენ, თავის შავ-ბნელ იარაღის ბიზნესს ვერ გააძლიერებდა საქართველოში და ვერც პოლიტიკურ მაქინაციებს განახორციელებდა.

მისი და, ქ-ნი გიული კი ფუფუნებაში ყურყუმალაობს, მაშინ, როცა მასზე უფრო დამსახურებული ასაკოვანი პროფესორები განჯინებში პურის ნამცეცებს ეძებენ. ეს 1300-დოლარიანი შანელის „გიულკებით“ მიპაწკუნდა, დედოფალივით თეთრებში გამოწყობილი, ბედოვლათ შვილთან ციხეში.

რაც დედაა, ის შვილიო, ნათქვამი რომაა, მართალია!

ციხეში მიდიხარ პატიმარ შვილთან და თეთრებში გამოწყობა, რა სპორტია, თეთრებში კი არა, ძაძებში და თვალზე ცრემლშეუმშრალი ჩავიდა მიწაში ირინა ენუქიძე, ახლაც ტირის ია მეტრეველი, ზურა ვაგაზაშვილის დედა, სულხან მოლაშვილის დედა, როინ შავაძის დედა, ნავთლუღის სპეცოპერაციაში დაღუპული ბიჭების დედები... რომელიმე მათგანისთვის გიკითხავთ რამე, ქ-ნ გიული? ციხეებში ნაწამები ბიჭების დედები მოგიკითხავთ?

წამებით მოკლულების, ძვლებჩამტვრეული ბიჭების ჯერ კიდევ სისხლმდინარე ცხედრებზე საწამებლად გადაკრული ბიჭებისთვის გიკითხავთ რამე და ბოდიში არ მოგნდომებიათ?!

მალხაზ არქანია როგორ გამოიტანეს ციხიდან, იცით, თქვენ, ქ-ნ გიული? მასაც ჰყავდა დედა და 21 წლის ელდარ ქობალიასაც...

ხმა როგორ ამოგეღებათ, მიწა როგორ არ გისკდებათ, თქვენი თურქი ქმრის ფეთჰულა გიულენის მიერ ნაფერები ფეხისგულების ქვეშ, ქალბატონო გიული, თქვენი ბედოვლათი, ფშვიტინა შვილის ხუშტურის გამო ცხინვალში რომ ვაჟკაცები დაყარა მკვდრები.

მიდით და იმ ბიჭების დედებს მოუბოდიშეთ, ასეთი მაოხრებელი რომ გაგიჩნდათ...

შვილი მეღუპებაო — იმათი შვილები თაგვის ბახალები იყვნენ?

მიდით-მეთქი, ვაჟკაცი ქართველი ბიჭების დედებთან და თუ გაუძლებთ: ჩახედეთ მათ თვალებში, მერე გამობრუნდით და აჭამეთ ჩაის კოვზით ფაფა მიხეილს!..

თქვენც მეცოდებით, ასეთი შვილი რომ გყავთ — მხდალი, ზნედაცემული, სამარცხვინო, კომიკური, რომელიც 8 თვის ბავშვის ფაფებს მიირთმევს, ნატურალურ წვენებს სვამს, სუფთა თეთრეულში იძინებს, იმ პატიმრებისგან განსხვავებით, გაუგონარ გულაგში რომ ამყოფებდა და აწამებინებდა „ქილერას“, „ცხრათითას“, კასტილიანს, მეგისა ქარდავას და სხვებს...

მესმის იმ ადამიანების, რომლებსაც მიშა ნათლის სვეტად ჰყავთ წარმოდგენილი და უნდათ, რომ ამ „სვეტს“ გაჰყვნენ. კი, რალაცნაირად მეცოდებიან კიდევაც ისინი, ხოლო, რომლებმაც იციან, სააკაშვილი ნორმალური არაა და ხელისუფლებაში მოსასვლელად მას იყენებენ, ეს არის, მართლა, ძალიან დიდი უნამუსობა.

დავუშვათ, სააკაშვილი გამოვიდა ციხიდან, ვადამდელში გაიმარჯვეს, წარმოიდგინეთ, რა წეწვა-გლეჯვა შეიქმნება თანამდებობების გადასანაწილებლად. მელია იტყვის — მე რაც მიბრძოლია, პრემიერი უნდა გავხდეო, უგულავა — მე, რა, არა ვარ ღირსიო? ბურჯანაძე გადაქაჩავს თვალებს და მე თუ არ გინდივართ, ჩემი ანზორიკო მაინც ხომ არის პრემიერობის ღირსი, ტანადი არაა თუ ენამჭევრიო?! ნათელაშვილი უბრალო თანამდებობას არ დასთანხმდება, ეკა ბესელია, ჭიჭინაძე, არმაზ ახვლედიანი და სხვები, მოკლედ, ღმერთმა არ ჰქნას და აქ ამბავი ატყდება...

მიშიკო კი ჩაიქირქილებს კურდღლისნაირ ტუჩებში და სამ დღეში გააქრობს მაგათ, ზოგს ჭაობში ჩაახრჩობინებს, ზოგს — ციხეში გამოკეტავს, ზოგს საფერფლეს ესვრის და ისე მოკლავს, თუ მანამდე „თანამებრძოლებმა“ თავად მიშა არ „გააქრეს“ პოლიტიკური ცირკიდან...

ეს რომ ასე მოხდება, როგორც ახლა თქვენ ამ წერილს კითხულობთ, ისეთი ჭეშმარიტებაა და კი ღირს ამ წიოკობის სასეიროდ ყურება, მაგრამ ქვეყანას დაგვიღუპავენ, ეს ხარბი ვირთხები, თორემ თავში ქვა უხლიათ და მუცელში სამართებელი...

ფაფები და ვიტამინები შიმშილობას ნიშნავსო.

პირადად მე არც არასდროს მჯეროდა მისი შიმშილობის.

ყველას გვახსოვს, საჭმელიც ჰქონდა და სასმელიც და მაინც ჰალსტუხს ჭამდა.





ქვეშაგებელი დაუმალეთ, ისიც არ გაღეჭოს ხბოსავით...

მართლა აგონიაში არიან ეს უბედურები, სკამების გულისთვის ყველაფერზე წამსვლელები.

დასავლეთში, ალბათ, უკვირთ ასეთი სიხარბე, რუსეთი სიამოვნებისგან ხელებს იფშვნეტს, ეს უდღეური მიშა კი, ხომ ხედავთ, ბოლოს ჩვენი გამოსაკვები და სამკურნალო გახდა, არავის აღარ სჭირდება, ისევ ჩვენ მოგვიგდეს გამოყენებული ბინძური ჩვარივით...

დავით გურამიშვილი რომ წერდა:

„ვით მამალი სხვის მამალსა
დაჰმტერდეს და წაეკიდოს,
მას სცემოს და თვით იცემოს,
დაჰქოჩროს და დაეკიდოს,
რა ორნივე დაღალულნი,
ძაღლმან ნახოს, პირი ჰკიდოს,
ეგრეთ ქართლი და კახეთი,
დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს...“

ღმერთმა დაგვიფაროს და ასე არ მოგვივიდეს, ამ არანორმალურების გადამკიდე.



**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# „ნაცმოძრაობა“ უნდა აიკრძალოს, სხვანაირად ეს ქვეყანა ვერ დამშვიდდება

*გვესაუბრება საქართველოს აზერბაიჯანელთა კონგრესის თავმჯდომარე ალი ბაბაევი:*

**— ბატონო ალი, 7 ნოემბრის აქციაზე სიტყვით გამოხვედით, როგორც 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბეული მონაწილე. რას ფიქრობთ, ქართველ ხალხს ახსოვს ის უსამართლობა?**

— რა თქმა უნდა, ახსოვს და არასდროს არავის დაავიწყდება ის სისხლიანი დარბევა, რაც „ნაცმოძრაობამ“ — სააკაშვილმა, ბოკერიამ, უგულავამ და მერაბიშვილმა მოუწყვეს ქართველ ხალხს.

2007 წლის აქციებისას სხვებთან ერთად მეც ვშიმშილობდი და 7 ნოემბრის საშინელ ღამეს „დუბინკებით“ მცემეს ზონდერ ჯგუფებმა.

26 მაისსაც ბეწვზე გადავრჩი, თუმცა, სამწუხაროა, რომ ბევრს დაავიწყდა ეს შეურაცხყოფები, ნათელაშვილის „ფანჩატურში“ მშვენივრად მიუსხდნენ მაგიდას ბოკერიასთან და უგულავასთან ერთად და სიცილ-ხარხარი გამართეს, ვითომდა არც 7 ნოემბერი ყოფილიყოს და არც 26 მაისი.

„ნაცმოძრაობა“ ასაკრძალია. მისი ახლანდელი და ყოფილი წევრები ჩადენილი დანაშაულებების გამო უნდა დაისაჯონ. სხვანაირად ჩვენი ქვეყანა ვერ დამშვიდდება და ვერც სამართალი იზეიმებს ვერასოდეს.

**— თქვენი, როგორც ამ არჩევნებში აქტიურად ჩაბმული ადამიანის აზრით, როგორ ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები?**

— ყველამ, უნდა ვიცოდეთ, რომ არჩევნები არის დემოკრატიული პროცესების განვითარების ხელშემწყობი პროცესი.

მე ვაქტიურობდი წინა რეჟიმის მიერ ჩატარებულ არჩევნებშიც და ვხედავდი, როგორ ყალბდებოდა ხალხის არჩევანი, როგორც ხელისუფლებო, ისე სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან, როგორ აიძულებდნენ ადამიანებს, მისულიყვნენ არჩევნებზე და ხმა მიეცათ „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი კანდიდატებისთვის.

2012 წელს ისე ერთხმად მისცა ქართველმა ხალხმა ხმა „ქართულ ოცნებას“, რომ ვეღარ შეძლეს მასიური გაყალბებები და ყველაფერი დაგვირგვინდა 1 ოქტომბრის სახალხო არჩევნების ლეგიტიმაციით.

მას შემდეგ 8 არჩევნები ჩაატარა „ქართულმა ოცნებამ“ და რვავეს შემდეგ ეს ე.წ. ოპოზიცია გაიძახის, არჩევნები გაყალბდაო.

პარტია „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავის დროზე საერთაშორისო დემოკრატიული საზოგადოების ზეწოლით ვერ მოახერხა ჩაეხშო ხალხის ხმა, გაეყალბებინა ჩვენი არჩევანი და რადგან ვერც მაშინ და ვერც ახლა ვერ ეგუებიან ძალაუფლების დაკარგვას, ცდილობენ ყველა ხერხი და საშუალება გამოიყენონ, რათა ხელისუფლება ისევ ხელში ჩაიგდონ.

არა მარტო საქართველოს მოსახლეობამ, არამედ მთელმა მსოფლიომ დაინახა, რასაც აკეთებდნენ წინასაარჩევნოდ და არჩევნების შემდეგ. ყველამ ვუყურეთ საკუთარი თვალით მათ ქმედებებს ქვემო ქართლში, ქუთაისში, სამეგრელოში და სხვაგანაც. დარწმუნებული ვარ, უახლოეს დროში ისევ რომ ჩატარდეს არჩევნები, ესენი კვლავ იყვირებენ — გაყალბდაო. ეს არის „ნაცმოძრაობის“ ხელწერა, რომელმაც, სავარაუდოდ, სხვა პარტიების წარმომადგენლები იმით აიყოლიეს, რომ თანამდებობებს დაჰპირდნენ, მაგრამ რად უღირს ამ ხალხს ასეთი უსინდისო ხერხებით გამარჯვება. რა ფასი აქვს ამას, მე ვერ გამიგია.

**— ყველა არჩევნებზე საკვანძო ადგილებად არაქართველებით დასახლებული რეგიონები ითვლება. რატომ ხდება ასე?**

— ნაციონალებს ყოველთვის ეგონათ, რომ, მაგალითად, აზერბაიჯანელებით დასახლებული რეგიონები არჩევნების დროს მათ, ასე ვთქვათ, ჯიბეში ჰყავდათ, მაგრამ, როგორც დავინახეთ, იმედები გაუცრუვდათ. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ აზერბაიჯანელებისთვის, სომხებისთვის თუ საქართველოში მაცხოვრებელი სხვა ეროვნების ადამიანებისთვის, ქართველი ამომრჩეველი, ქართველი ხალხი უნდა იყოს მაგალითის მიმცემი და არა ისე, საკუთარ მთავრობას და ქართულ სახელმწიფოს რომ მტრობენ და ძირს უთხრიან. ესაა მწარე სიმართლე, რომელიც არ მერიდება ჩემს ქართველებს ვუთხრა.

ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნები ტარდება, ამას აღიარებს მთელი მსოფლიო. გამოდის ქართველი და ამტკიცებს, რომ არჩევნები გაყალბებულია და ამას ამბობს ისე, რომ ვერ ასაბუთებს თავის განცხადებას. ეს არის სიხარბე. მწყურვალ ადამიანს რომ წყალი უნდა სიგიჟემდე, ისე სწყურიათ ძალაუფლება.

აქციებს აქციებზე აწყობენ, ახლა ამ მეთოდით ატერორებენ ხალხს, თანაც არ უფრთხილდებიან ერთმანეთის ჯანმრთელობას ამ საშინელი პანდემიის დროს.

ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც 50 და 100 ლარის გულისთვის თბილისში ჩამოდიან რეგიონებიდან, ყველამ კარგად იცის და ისიც იციან, ეს ადამიანები აქციაზე დგომის მაგივრად ნათესავებთან რომ გარბიან დასასვენებლად, ზოგიერთი კი აღებული ფულით სახინკლეში ქეიფობს.

რამდენიმემ მითხრა, სოფლის ბირჟაზე ვიდექით, ფული გადაგვიხადეს, წამოგვიყვანეს და რა გვენაღვლებოდა, ჩვენც წამოვედითო.

ამას წინათ ნიკანორ მელია გამობრძანდა და თქვა: უკან არ დავიხევთ, თითოეულ ხმას დავიცავთ ჩვენს ამომრჩეველთან ერთადო. სად იყვნენ ხმების გადათვლის დროს ეს მისი ამომრჩეველი და დამკვირვებლები, რომლებიც ბლომად ჰყავდათ, რატომ მოაწერეს ოქმებს ხელი, თუ ხმები გაყალბებული იყო.

სინამდვილეში, არაფერი არ გაყალბებულა, მათი პრეტენზიები არის სიცრუე და თვალში ნაცრის შეყრა.

მიზანმიმართულად ლახავენ სხვების თვალში საქართველოს იმიჯს და მავნებლურად სურთ დესტაბილიზაციის გამოწვევა.

ახლა რომ აცხადებენ პროტესტს ნაციონალების ლობისტი დეიდები და ბიძიები დასავლეთიდან, სად იყვნენ მაშინ, ესენი ციხეებში ხალხს რომ აწამებდნენ და ქუჩებში უმოწყალოდ ხვრეტდნენ მშვიდობიან მოსახლეობას?!

სააკაშვილი პოლიტიკური პატიმარიაო და ეცოდებათ, ჯერ ერთი, არავითარი პოლიტპატიმარი ის არ არის და მეორეც, ვინ გამოესარჩლა, იმ 25000 პატიმარს, სააკაშვილს ციხეებში რომ ჰყავდა გამომწყვდეული? ვინ მოახდინა მათი რეაბილიტაცია ან კომპენსაცია იმ უდიდესი ტრავმის გამო, რაც მათ მიიღეს მიშას ციხეებში?.

**— ციხის კადრები არ არსებობს, არავითარი წამება არ იყო, სპექტაკლი დადგა 2012-ში „ქართულმა ოცნებამო“.**

— სპექტაკლი კი არა, 2012 წელს თვითონ ნაციონალებს მოჰქონდათ „ქართული ოცნების“ შტაბში ჩანაწერები; ტომრებით მოჰქონდათ.

ახლა ეს კადრები, თითქოსდა, განადგურებულია, მაგრამ, მომივიდა ინფორმაციები, რომ ნაციონალებს თვითონ აქვთ გადანახული ის კასეტები და საჭიროების შემთხვევაში, აპირებენ, თავიანთ თანამებრძოლებს, ძველ ნაციონალებს, ცხვირწინ აუფრიალონ. არც გამიკვირდება. თუ დასჭირდათ, ერთმანეთსაც არ დაინდობენ.



მაგათი ბელადი სატუსაღოში, ვითომდა, შიმშილობს. ხომ გამოჩნდა, რომ ყველაფერი ტყუილი იყო? ცოტა ხანი კიდევ დაიცადონ, სააკაშვილს ოთხ საქმეში აქვს ბრალი წაყენებული, მეხუთე, ალბათ, იქნება საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთა, მას ბრალი დაუმძიმდება და ბოლოს ისე არ მოხდეს, ეს მათი სათაყვანო კაცი მნახველების და გულშემატკივრების გარეშე დარჩეს.

სამართლიანობა ჯერ კიდევ არ არის აღსრულებული. სააკაშვილის დაპატიმრებით პრეცედენტი შეიქმნა, მაგრამ თუ გვინდა კანონმორჩილი მმართველობა, მას გვერდით — ბოკერია, უგულავა, ბარამიძე და ძმანი მათნი უნდა მივუსვათ.



მე, მოგეხსენებათ, „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრი ვიყავი და კარგად მახსოვს, იმ წლებში მეგობარი ქვეყნებიდან რა ტიპის ზეწოლები მიმდინარეობდა საქართველოზე. მათი ე.წ. რეკომანდაციების შედეგი იყო ავადსახსენებელი კოჰაბიტაცია...

**— ბატონო ალი, ამ დღეებში აზერბაიჯანი ყარაბაღის ომში გამარჯვების წლისთავს აღნიშნავს, ილჰამ ალიევი ნამდვილად არის თავისი ხალხისგან სიყვარულის ღირსი, მაგრამ ცხინვალში დამარცხებულ სააკაშვილს რომ საქართველოში მომხრეები ჰყავს, ეს, ნამდვილად, მეც მაკვირვებს.**

— ლიდერი, რომელიც თავის თავს აქებს და ამბობს, რომ სახელმწიფოს დამფუძნებელია. ადამიანი, რომელიც იჩემებს, რომ კულტურა თბილისში და საქართველოში მან შემოიტანა, კარგად უნდა გავიხსენოთ, ბიძამისთან სატელეფონო საუბარში ქართველებს როგორ აგინებს და ლანძღავს და მერე შევადაროთ ერთმანეთს ალიევი და სააკაშვილი.

მიშა ამბობს, რეგიონში ლიდერი ვარო — მაგრამ, რისი ლიდერია, მწამებლების, ბიზნესების წაღლეტვაში, ციხეებში გაუპატიურებების ლიდერი? ამ კაცმა საქართველოში ყველაზე მეტი ციხე და საწამებელი ააშენა და იძახის, ქვეყანა მე ავაშენეო. მაჩვენოს ვინმემ მისი აშენებული რამე. ჯარი და პოლიცია შემოსა და ფეხზე დაყენაო. დიახ, მიშას დროს გაძლიერდა ჯარი და პოლიცია, მაგრამ რაც გაკეთდა, ყველაფერი ბიძინა ივანიშვილის ფულით.

სააკაშვილს რა აქვს, საერთოდ, სალაპარაკო, როცა საქართველოს ტერიტორიის 20%, უძვირფასესი მიწები რუსებს და სეპარატისტებს გადაუფორმა.

სტრატეგიული ობიექტები რუსებს გადასცა.

რაც შეეხება ყარაბაღის საკითხს. იმის მიუხედავად, რომ აშშ, საფრანგეთი, რუსეთი ჩართული იყვნენ აზერბაიჯანის ტერიტორიულ კონფლიქტში, მინსკის ჯგუფის ფორმატით, ვერც ერთი ნაბიჯით წინ ვერ წავიდა საკითხი. აზერბაიჯანს სხვა გზა აღარ დარჩა და ყველამ ვიხილეთ, რაც მოხდა. ამ დღეს არა მხოლოდ აზერბაიჯანის მოსახლეობა, არამედ მსოფლიოში მცხოვრები ყველა აზერბაიჯანელი დღესასწაულობს. საქართველოს აზერბაიჯანელებიც ვუერთდებით ამ ზეიმს და მუდამ გამარჯვებას ვუსურვებთ აზერბაიჯანს.

საქართველოს მოსახლეობას კი მინდა ვუთხრა: ჩვენი ქვეყანა სწორი გზით მიდის. ხელისუფლებაში არის პასუხისმგებლობის მქონე გუნდი და შესანიშნავი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი.

ვისაც გვიყვარს ეს ქვეყანა, ყველა დავდგეთ მის სადარაჯოზე, საქართველოს ამოვუდგეთ მხარში, ვინც ჩვენი ქვეყნის მტერია, წავიდნენ და თუ უნდათ თავები დაუხოცავთ.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ჭამე, ბიჭო, ფაფა, მიიღე ვიტამინები და ბოლოსდაბოლოს გახდი ადამიანი!

ნაცლიდერებისგან მართულმა ცხვრის ფარამ, პოლიტიკური ყოჩის გისოსებთან ახლოს გადაინაცვლა და ბე ბეს ძახილით ცდილობენ მცირე ბალახით დანაყრების სანაცვლოდ, ქვეყნის დაქცევაში შეიტანონ გარკვეული წილი. გონებადაბინდულები იმასაც ვერ ამჩნევენ, რომ ცხვრის ტყავში გადაცმულ მგლებს ერთი სული აქვთ გადასანსლონ და დესერტად მათი ოჯახის წევრებიც დააყოლონ."

ფაფაჭამია ყოჩის „ციხის დღიურის" ჩანაწერებს კი შავნოდარა მწუხარე ხმით გვაცნობს, „როცა ვიდეოკამერაში ხედავენ, რომ გაუნძრევლად დიდი ხნით ვწევარ, შემოდიან და მამოწმებენ, ხომ არ მოვკვდი უკვე"... „ეს არის კლასიკური წამება... მე ვიცი, რას დავუპირისპირდი – ბოროტებას, სუფთა სახით ბოროტებაა, როცა სხვას უსურვებ სიკვდილს"...

ბოროტებაზე, წამებაზე ბლავის ყოჩი, რომელიც აცხადებდა, რომ ჩვენთვის ტყვიები არ ენ-



ანებოდა. სწორედ მან მოუწოდა თავის ხროვას „ნულოვანი ტოლერანტობა ყველანი ციხეში" და მთელი საქართველო ლამის გისოსებს მიღმა აღმოჩნდა. მისი კანონიერი თვალთვალი ბოროტება ყოფილა და სიკეთე, ქუჩაში, ათასობით ჩახოცილი საჯიშე ბიჭი. დედამისი თვალების კვარკვალით კი ამბობს, რომ მიშა უდანაშაულოა და არაფერი იცოდა, მაგრამ ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტად იცოდა და წამების ვიდეოკადრებსაც სიამოვნებით უყურებდა. სამწუხაროა, რომ მას და მისი ხროვის წევრებს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, იმ პირობებში არ უწევთ ყოფნა რომელიც თვითონ შექმნეს და არაფრით განსხვავდებოდა გულაგისაგან, არც ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკებისგან.

სწორედ ისე აწამებდნენ პატიმრებს, ამცირებდნენ მათ ახლობლებს და პატიმრებზე ატარებდნენ ფსიქოლოგიურ და სამედიცინო ექსპერიმენტებს... ყოჩს ავიწყდება, ან არც იცის, რომ საქართველოს კონსტიტუციის მეთოთხმეტე მუხლი უზრუნველყოფს ყოველი ადამიანის თანასწორობას კანონის წინაშე. დღეს მას პატიმრის სტატუსი აქვს და ისეთივე უფლებები და მოვალეობები გააჩნია, რაც სხვა მსჯავრდებულებს.

კარგად მახსოვს, სააკაშვილის და მისი ხროვის მიერ უდანაშაულოდ დაკავებული და შემდეგ უკანონოდ გასამართლებული ზვიად გამსახურდიას შვილი რა პირობებში იხდიდა სასჯელს. „მე ცოტნე გამსახურდია რუსთავის № 17 სასჯელაღსრულების დაწესებულების უკანონოდ გასამართლებული პატიმარი, ვხედავ რა, სასჯელაღსრულების დაწესებულების პერსონალის მხრიდან არაადამიანურ და ღირსებაშემლახველ მოპყრობას მძიმედ დაავადებული მსჯავრდებულების მიმართ არასათანადო მკურნალობის განხორციელებაში, ჩემი ვალია გამოვაცხადო პროტესტი შიმშილობის ფორმით და საკუთარი ხმა მოგაწვდინოთ მრავალი პატიმრის მძიმე მდგომარეობის გადმოსაცემად, რასაც ვაცხადებ მოთხოვნის ფორმით..."როგორი ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ მოიხადა სასჯელი და როგორ პროვოკაციებს უწყობდნენ „კეთილი" ნაცები გვახსოვს...

რაც შეეხებათ ყოჩის ჯანმრთელობის მდგომარეობით აღშფოთებულ ექიმებს, სად იყვნენ მიშას ზეობის დროს? რატომ არ ტეხავდნენ განგაშს დალეწილი პატიმრები სამედიცინო მომსახურეობის გარეშე ბეტონზე, რომ ეყარნენ? და ხშირ შემთხვევაში „ურჩებს" მორგში მიცვალებულებზე აბავდნენ. სასჯელის გადავადება მძიმე ავადმყოფობის გამო კანონით იყო განსაზღვრული. მძიმე ავადმყოფობას ექიმები ადგენდნენ და რატომ არ აპროტესტებდნენ უმძიმესი ავადმყოფები ციხეში, რომ ამთავრებდნენ სიცოცხლეს?თუ ისინი უბრალო მოკვდავები იყვნენ და მიშა ანგელოზია? საავადმყოფოში მძიმე ოპერაციის შემდეგ არცერთი პატიმარი არ ხვდებოდა რეანიმაციაში. მათ ჩვეულებრივ პალატაში აბრუნებდნენ. მინიმუმ ოთხი გაძუნძგლული ბადრაგი ადგათ თავზე და საღამოს შვიდი საათიდან დილამდე ფეხზე კანდალებს ადებდნენ. არც ამ შემთხვევაში მახსენდება ექიმების პროტესტი... მატროსოვიდან 2006 წელს, წითელ პარასკევს, მკაცრი რეჟიმის ციხეში გადაიყვანეს ორმოცამდე არასრულწლოვანი. გადაყვანა, კანონის სრული დარღვევით განხორციელდა, ჯერ დალეწეს ისე ცემეს, შემდეგ აიძულეს მაისურები გაეხადათ და სიხლიანი იატაკი მოეწმინდათ. გაუგონარი სისასტიკე გამოვლილი არასრულწლოვნებიდან რამოდენიმე, დღეს, ცნობილი კრიმინალია და საზვარგარეთ „მოღვაწეობენ". მათ სხვა მიზნები ქონდათ დასახული, მაგრამ სწორედ მიშას ციხემ აქცია ისინი დაუნდობლებად, კრიმინალებად, სწორედ მიშას ციხემ წაართვა მათ ბავშვობა და ახალგაზრდობაც. დღეს ისინი 30-35 წლის ახალგაზრდები არიან, დღემდე ვიხსენებ მათი მუქარას, ჩვენ მაისურებით ვწმინდეთ ჩვენი სისხლი და დადგება დრო მათ საკუთარი ნაწლავებით ვაიძულებთ გაწმინდონო...ვინ იცის, იქნებ ეგ დროც დადგეს. მანამდე კი სააკაშვილი თავის ხროვასთან ერთად მიზანმიმართულად ცდილობს ქვეყნის დამხობას და სამოქალაქო დაპირისპირებას, როგორ გამოუვა ტექნიკის საქმეა, საზოგადოების დიდი ნაწილი სოციალურ ქსელში დაუფარავად ითხოვს „პუტინის დავალების შემსრულებლების"ნაცხროვის დასჯას და მათი პარტიის აკრძალვას. აი რას წერს ირაკლი კაკაბაძე „მიშა, შენ იმის ვაჟკაცობა არ გყოფნის რომ ციხეში იჯდე - როცა ათასობით ადამიანის ცოდვა გაწევს თავზე - და რიგიანად მოსჯილიც არ გაქვს იმ საშინელებებზე, რაც ჩაიდინე. ახლა, კიდევ სამოქალაქო ომის დაწყება გინდა შენი საკუთარი სრული კომფორტის მოთხოვნის და ძალაუფლების მანიის დასაკმაყოფილებლად. ჭამე, ბიჭო, გლუკოზა, მოუფრთხილდი შენივე ჯანმრთელობას დღესაც (თურმე დღეს გითქვამს უარი ყველა ჯანმრთელ ვიტამინზე) - მიიღე ვიტამინები - და გაგვანებეთ თავი შენ და პუტინმა! არ გვინდა ეს სამოქალაქო ომი და დაპირისპირება და ბნელ 90-იან წლებში დაბრუნება".

მიშა სააკაშვილის მომხრეები რომ ამტკიცებენ "ჩვენ ზვიადის ტრადიციების გამგრძელებლები ვართო" – ნახეთ სააკ-



აშვილის სტატია პოლონური გაზეთი **WPROST**-იდან, სადაც სააკაშვილი სამაჩაბლოში ომის დაწყებას პირდაპირ საქართველოს პირველ პრეზიდენტს აბრალებს. „– ქართველი ერი განუდგა დემოკრატიულად არჩეულ პრეზიდენტს, რომელმაც დაიწყო თავისი კარიერა, როგორც პოლიტიკურმა დისიდენტმა და დასრულდა, როგორც დიქტატორი. მეორე – სამხედრო საბჭოს მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება არ იყო სახელმწიფო გადატრიალება, რადგან თვით გამსახურდია უზურპატორობდა სრულ უფლებამოსილებებს მიუხედავად კონსტიტუციით განსაზღვრულისა (გამსახურდია თავად აძლევდა საკუთარ თავს გადამეტებულ უფლებამოსილებებს, კონსტიტუციის უგულებელყოფით). მესამე – სამხედრო საბჭოს სათავეში ჩაუდგნენ მწერალი (ჯაბა იოსელიანი) და მოქანდაკე (თენგიზ კიტოვანი). მეოთხე – გამსახურდიას ხელისუფლებისგან ჩამოშორების შემდეგ შეწყდა სამხრეთ ოსეთში ეთნიკური ბრძოლები, რომელიც პრეზიდენტის მიერ იყო პროვოცირებული. მეხუთე – გასამხურდიას წინააღმდეგ წავიდნენ მისივე გუშინდელი მეგობრები და თანამდგომები. მეექვსე – შევარდნაძის ფენომენი იმაში გახლავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ იგი ყოფილი კომუნისტური პარტიის აპარატის წევრია, დღეს მაინც აქვს შანსი მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს სუვერენული საქართველოს პოლიტიკაში. შევარდნაძის დაბრუნება და მის მიერ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტის დაკავება ძალიან სასარგებლო იქნება ქვეყნისთვის, რომელიც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ერთადერთია პოლიტიკურ ვაკუუმში მოქცეული."დიახ, სწორედ მწერალი იოსელიანის ბანდის წევრები ყავდა ცრუ მიხეილს მთავარ ზონდერებად და დამფინანსებლებად. სწორედ მისი ხროვა იცავდა მკვლელ ჟორიკა რურუას თავგამოდებით. მამობილ შევარდნაძეს თურმე როგორ „ყვარობდა"და როგორ აუცრუეს შემდგომ გული საბრალოს. ზვიად გამსახურდია, მიშას გარეცხილი ჭკუით დიქტატორი ყოფილა თვითონ კი დემოკრატი და რადგან მას ყოფილი მეგობრები აუმხედრდნენ მიშამ სხვის შეცდომებზე ისწავლა და „განდგომილი" მეგობრები სიცოცხლეს გამოასალმა.



თანამედროვე საქართველოს უმთავრესი პრობლემა არის სამოქალაქო საზოგადოების არარსებობა, რაც ჩვენი მტრების გამიზნული, მიზანმიმართული მეთოდური „ზრუნვის" შედეგია.

არ და ვერ ჩამოყალიბდა საშუალო ფენა. საშუალო ფენის საძირკველს ქმნის მატერიალურად და სოციალურად ძლიერი ადამიანების ერთობლიობა, რომლებიც დამოკიდებული არ არიან ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის კეთილგანწყობაზე. პირიქით, განვითარებული, დემოკრატიული საზოგადოების წიაღში პოლიტიკური პარტია, რომლის სურვილიც არის არჩევნებში წარმატების მიღწევა, ცდილობს, თავი მოაწონოს საშუალო ფენას, რომელიც არის პოლიტიკური დღის წესრიგის რეალური წარმმართველი და პოლიტიკური გემოვნების განმსაზღვრელი. სწორედ ეს არის უმთავრესი და უპირველესი „ევროპული ღირებულება", რასაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებთ.

**მარიამ ჯანჯღავა**
511 17 73 72

# გულწრფელად მითხარი, მართლა არ გრცხვენია? შეხედე, ეს არის შენი შვილების, შენი ოჯახის ნათელი მომავალი?

## გასაუბრება სენაკელთა 46 პროცენტზე მეტთან, თითქმის 47 პროცენტთან



გამარჯობა, სენაკში კობა ნაყოფიამ მიიღო 46,92%. „ქართული ოცნების" კანდიდატმა მიიღო 53,78%.

სენაკელთა 46 პროცენტზე ცოტა მეტო, სანამ კონკრეტულად გეტყოდე, რატომ მომინდა შენთან გასაუბრება, ერთი უცნაური არსება უნდა გაგაცნო. არა, შენ კი მიეცი მას ხმა, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რომ იცნობ. საიდან უნდა იცნობდე, როცა სენაკთან შეხება არ ჰქონია? ისე, რომც ჰქონოდა, რას ამბობთ, არდან-ბურდანს გადავიდოდა, აი!

მოკლედ, მთავარი სათქმელი ბოლოსკენ გადავიტანოთ, ახლა კი დავსვათ შეკითხვა: ვინ არის კობა ნაყოფია, რა გაუკეთებია, საიდან მოვიდა და ამ ქვეყნისთვის გაუღია? დაიბადა 1969 წელს. დაუმთავრებია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. პარალელურად უსწავლია ამავე უნივერსიტეტის „სპეცფაკულტეტზე" და მიუღია ბიზნეს-იურისტის განათლება. სპეცფაკულტეტიო, თან ბრჭყალებში აქვს ჩასმული, თუ ვინმე მოედავება, იტყვის, ვიხუმრეო. მეც ეგ უნივერსიტეტი დავამთავრე, მაგრამ „სპეცფაკულტეტების" შესახებ არაფერი მსმენია, მეორადი ფაკულტეტები გამიგონია. მოკლედ, მიიღო რა ბიზნეს-იურისტის „წოდება" კობა ნაყოფიამ, გასწია რუსეთში და ახლა იქ დაამთავრა საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემია, რუსეთში მინიჭებული აქვს საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტის კვალიფიკაცია. არის რუსეთის ეკონომიკის აკადემიის ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მფლობელი. იყო დსთ-ს ქვეყნების საერთაშორისო ეკონომიკური კომიტეტის მრჩეველი. 1993–2008 წლებში, სხვადასხვა დროს, იყო კომპანია „ოქროს საწმისის" გენერალური დირექტორი, შპს „ინვესტმენტ მენეჯმენტის" გენერალური დირექტორი, ორლოვის სამრეწველო კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრი, კომპანია „პრომიშლენნიე ინვესტორის" ვიცე-პრეზიდენტი.

ხედავთ, სად ბანაობდა და ბანაობს ეს „პრომიშლენნიე", „ინვესტმენტი" და „ორლოვა" „ჩელოვეკი"? ხედავთ, სად აქვს ფესვები გადგმული? ამ დროს გიყურებთ თვალებში თავისი ამღვრეული თვალებით და რუსეთს ოკუპანტს ეძახის. მეტიც, მიედ-მოედება, მიხეილ სააკაშვილი პუტინის პირადი პატიმარიაო. როგორ შეიძლება, ადამიანს ამხელა ინტერესები ჰქონდეს რუსეთში, შვილი ჰყავდეს რუსეთის მოქალაქე, თვითონაც იყოს რუსეთის მოქალაქე, რუსეთში ჰქონდეს სახლი და ამავე დროს რუსეთს ეძახდეს ოკუპანტს? ნაყოფიას დეკლარაციაში თავისივე ხელით აქვს მითითებული, 1995 წელს 56 000 დოლარად მოსკოვში ბინა ვიყიდეო, კაშერსკოეს შოსეზე, №55-შიო. ზუსტად ასე უწერია, „კაშერსკოეს შოსეო". ქართულად ვერ დაწერა „გზატკეცილი", არ „ეკერკება".

ეს კიდევ არაფერი, ჯერ სად ხართ?

ნაყოფიამ 1995 წელს კვლავ გაიჯეჯილა და 50 000 დოლარად ახლა ესპანეთში, კანარის კუნძულებზე, ჩაიოფაზე იყიდა 300 კვ.მ. ვილა. თქვენ გჯერათ, რომ კანარის კუნძულებზე ამან ამხელა ვილა იყიდა და მხოლოდ 50 000 დოლარი გადაიხადა? მე არ მჯერა, კობას ვილის ეზოში აშკარად ძაან დიდი ძაღლის თავია ჩამარხული. მე გადავამოწმე იქაურ ვილათა ფასები და სწორედაც ეგრე გამოდის... მაგალითად, 204 კვადრატული მეტრის ფართის ვილა შემოთავაზებულია 560 000 ევროდ. მართალია, ამან 1995-ში იყიდა, როცა ჩვენში ქაოსი, გაჭირვება და უსინათლობა იყო, მაგრამ ფასები ასე მკვეთრად მაინც არ შეიცვლებოდა. დავანებოთ ამას თავი, აქ სხვა რამეა მთავარი – მაშინ, როცა საქართველოში დიდი ქაოსი და უბედურება სუფევდა... როცა სამეგრელოს რამოდენიმეჯერ გადაუარეს, გადაბუგეს, გადაწვეს, კობა ნაყოფია „მოსკოვებსა" და „ესპანეთებში" სახლებს ყიდულობდა. გაიგეთ, სენაკელებო? როცა თქვენ ფქვილისა და ნავთის რიგებში იდექით, ეს არსება ფულებში ბანაობდა, მაშინ საერთოდ არ გახსენებიხართ. ახლა კი მოვიდა, ჩამოჯდა თქვენს სიახლოვეს და გითხრათ, „უმფროსად" უნდა დაგიდგეთო, ბატონადო. შენც, 46 პროცენტზე ცოტა მეტო, თითქმის 47-ო პროცენტო, თავი დაუქნიე, წახვედი საარჩევნო უბანზე და ხელი მოუწერე, ხმა მიეცი.




კობა ნაყოფია საქართველოში 2005 წელს გამოჩნდა. ის რუსეთში კახა ბენდუქიძის მეგობრად „მუშაობდა", ბიზნესპარტნიორობდა, ანუ ფულს ერთად აკეთებდნენ და როცა ბენდუქიძე, კრემლის ეგიდით, საქართველოში ეკონომიკის მინისტრად დაინიშნა, ეგეც თავის კუდად ჩამოიყოლა. სწორედ მაშინ გამოცხადდა ლაშქრობა სტრატეგიული ობიექტების მიმართულებით, მილიონერმა ბენდუქიძემ, სასტუმროში ცხოვრება რომ არჩია, ახალი ლოზუნგიც კი გადმოისროლა: „ყველაფერი იყიდება სინდისის გარდა". თავიდან ზოგს ეგონა, სინდისს მართლა არ გაყიდიდნენ, მაგრამ იმაზე აღარ უფიქრიათ, რომ ეგენი რუსეთიდან „სინდისების" გარეშე ჩამოვიდნენ.

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ნაყოფია ჩაუჯდა სახელმწიფო აუქციონებს, ტენდერებს და ყველაფერი გადაიფორმა, რისი გადაფორმებაც კი შეიძლებოდა ჩალის ფასად, ფაქტობრივად მუქთად. „მადნეულის" 97 პროცენტი 40 მილიონად იყიდა. ამბობენ, მისი ყიდვა ბადრი პატარკაციშვილსაც უნდოდა, მაგრამ ამ „სასტავთან" არაფერი გამოუვიდაო. ნაყოფიამ ამ 40 მილიონში „კვარციტის" აქციათა 50 პროცენტიც დაითრია, შემდეგ კი „ეროვნული ზარაფხანაც" ჩაიგდო ხელში და იცით, რამდენი გადაიხადა? 2 მილიონ 40 ათასი დოლარი. ინტერესის გულისთვის იმასაც გადავხედოთ, რას წარმოადგენს „ზარაფხანა". ეს არის 4-სართულიანი შენობა ლუბლიანას ქუჩაზე, სათავსო-ნაგებობებით, ასამდე უნიკალური დაზგით, 8 მილიონი დოლარის ოქროსა და ძვირფასი თვლების მარაგით (8 მილიონის ოქროს 2 მილიონად რომ იყიდი, ხომ მაგარი შეღავათია?) 30 ათასი კვ.მ. მიწა დიღომში, ლუბლიანის ქუჩაზე, ამ პერიოდში იქ 1 კვადრატული 230 ათასი დოლარი ღირდა. გამოდის, 7 მილიონის ღირებულებისა მარტო მიწა იყო.

ეგ კიდევ არაფერი, ტენდერის პირობების თანახმად, „გოლდ-ინვესტს" უნდა დაეფარა „ზარაფხანის" 6 მილიონი ვალი, რომელიც სახელმწიფოს მიმართ დაუგროვდა საწარმოს. ჩემი ფეხები, ზურაბ ნოღაიდელმა ჩამოაწერა, ნაყოფიას უჭირს, ვერ გადაიხდისო. არადა, ქართული ოქრო აღორძინებას საჭიროებსო. „ააღორძინეს", ავი ენები ამბობენ (არაერთხელ დაიწერა), ნაყოფიას ინდოეთიდან და არაბეთიდან იაფფასიან ოქროს ნაკეთობებ ეზიდება და „ზარაფხანის" დამღით ჰყიდის, როგორც ქართულ ნაწარმსო. „მადნეულში" მოპოვებული ოქრო კიდევ უცხოეთში გააქვს, რადგან მაღალი ხარისხისაა და ევროპაში კარგად იყიდებაო. სათანადო ორგანოები ამ კუთხით რატომ არ ინტერესდებიან, ეგეც საეჭვოა, როდემდე უნდა აფინანსოს კობა ნაყოფიამ „ნაციონალების" მამაძაღლობები ქართული ოქროს წარმოება-მაიმუნობის ხარჯზე? სააკაშვილის გადაშენების შემდეგ კი დაიწყო რაღაც პროცესი, ლიცენზიებიც ჩამოართვეს, მაგრამ შემდეგ საქმე დავიწყებას მიეცა, კობამ სადღაც სიტუაცია დაალაგა. ვინმე გენერალოვის, კახა ბენდუქიძისა და ზურაბ ჟვანიას მოწაფე, რომელიც ბოლოს სააკაშვილის კლოუნად გადაიქცა, პოლიტიკაშიც შემოყანყალდა, ჯერ ბოლნისის მაჟორიტარობა იყიდა, ახლა კიდევ სენაკის მერობა მოუნდა.

რა გაუკეთებია, რა ქველმოქმედება გაუწევია ნაყოფიას? არავითარი, მისი გაკეთებული ერთი საქმე „გუგლშიც" კი არ იძებნება. წარმოგიდგენიათ? ბიძინა ივანიშვილს ემუქრება არსება, რომელსაც ერთი ხე არ აქვს დარგული დედამიწაზე. თუმცა ერთიც ვთქვათ, მას 20 მილიონი დოლარით დააფინანსებინეს ჰოლივუდური ე.წ. ფილმი „აგვისტოს 5 დღე". ჰოლივუდელებს ფეხებზე ჰკიდიათ, 20 მილიონი აიღეს, სისულელე გადაიღეს და წავიდნენ. პრინციპში, ამ ფილმს უნდა ერქვას „ჰოლივუდის სირცხვილი" შერონ სტოუნის მონაწილეობით. ჩამოიყვანეს შერონი, მოუსვეს გვერდით კობას და... გადაირია ესეც, მას მერე აღარ აქვს სახის ნაკვთები თავის ადგილზე, ზოგი მიეგრიხა, ზოგი – მოეგრიხა!

●

46 პროცენტზე ცოტა მეტო, თითქმის 47-ო პროცენტო, საარჩევნო უბანზე რომ მიდიხარ და ამას ხაზავ, დებილი ხარ?!

შეხედე, რას ჰგავს, 30-ში საღამოს გალეშილი გამოეთრა და დაიწყო, გამიყალბესო, სხვა გზა აღარ გვრჩება, კონსტიტუციურად უნდა ავჯანყდეთო. აი, ეს უნდა აგვიჯანყდეს ჩვენ კონსტიტუციურად? ამან-მეთქი, ხალხო? ამან უნდა დაგვამხოს? ეგ ვერ/არ მოხდება, რადგან ბუნების კანონს ეწინააღმდეგება და ამ თეორიას უწოდებენ: „ბებიაამის ტრაკმა"!

ჰო, ისევ შენ მოგმართავ, 46 პროცენტზე ცოტა მეტო, თითქმის 47-ო პროცენტო!

აი, ამას რომ ხაზავ, არ გრცხვენია? აღარც სინდისი შემოგრჩა და აღარც ნამუსი? სახლში რომ ბრუნდები, ბალიშზე თავს რომ დებ, რას ფიქრობ, საკუთარ თავს რას ეუბნები, დღეს მე ხმა ნათელ მომავალს მივეციო? პროდასავლურობას და პროამერიკულობასო?

არა, გულწრფელად მითხარი, მართლა არ გრცხვენია? შუბლის ძარღვი ისე გაგიწყდა, რომ რეალობის შეგრძნება სულ დაკარგე?!

კაი, ჰო, დავუშვათ, ფული გამოგიგზავნა, 50 ლარი მოგცა, 100 მოგცა, 200 მოგცა (ვიცი, მეტს არ მოგცემდა), მერე? შეხედე, ეს არის შენი ოჯახის, შენი შვილების, შენი ქვეყნის ნათელი მომავალი?

ამ შეკითხვაზე ვერ მიპასუხებ... ძალიან კარგად იცი, ეს ნათელი მომავალი კი არა, სიბნელეა, სიმახინჯეა, კოშმარია!

46 პროცენტზე ცოტა მეტო, თუ შენ მოგწონს, რასაც ამ ფოტოზე ხედავ, თუ მაინც ამას ხაზავ, მაშინ ავადმყოფი ხარ!

დიახ, თანაც ისეთი ავადმყოფი, მკურნალობასაც აღარ ექვემდებარები!

და მაინც... რამდენი ხარ, 46 პროცენტზე ცოტა მეტო? გადავამოწმე, 9 923 ცალი ხარ. ამ უბედურებისთვის ხმა 9 სულს რომ მიეცა, ისიც ბევრი იქნებოდა... ამ დროს, 10 ათასამდე ცუცურაკი გვყოლია. ეს მხოლოდ სენაკში.

ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ!

სხვა მუნიციპალიტეტებზე შემდეგ მოგახსენებთ, თითქმის ყველგან არის მსგავსი პრობლემა.

ბელა ზედელაშვილი
555 48 48 61



# მთავარი მოწმე

## ნინო ბურჯანაძე – ვადაგასული ქამელეონი!

ქამელეონი მცოცავი არსებაა, სულ დაცოცავს. ქამელეონი ხვლიკის ნათესავია. მათი უმეტესობა ცხოვრობს კუნძულ მადაგასკარზე, ასევე არიან აფრიკაში, ესპანეთსა და სირიაში.

საქართველოში ბევრი ცნობილი ქამელეონია... მაგალითად: დავით ჭიჭინაძე, ეკა ბესელია, გედეონ ფოფხაძე, გუბაზ სანიკიძე და სხვები, ყველას ვერ ჩამოვთვლი, მაგისთვის მთელი გაზეთი არ გვეყოფა. კი, მეგობრებო, ძალიან ბევრნი არიან, ისინი შეიძლება უცნობებიც იყვნენ, შეიძლება ფეხზე რომ დაისვათ, თავზე ისე აგაცოცდნენ, ვერც გაიგოთ. ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ... ამჯერად მინდა, საქართველოში ყველაზე პოპულარულ ქამალეონზე გითხრათ ორიოდ სიტყვა – ნინო ანზორის ასულ ბურჯანაძეზე.

რატომ არის ის ყველაზე ცნობილი ქამელეონი რესპუბლიკის მასშტაბით? ნახეთ, რას ამბობს მიხოს დაპატიმრების შემდეგ:

„სააკაშვილი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ზის ციხეში, რომ ბიძინა ივანიშვილს უნდა ასე“.

შემდეგი „სიბრძნე“:

„ჩვენი ქვეყნის საზღვრები მოშლილია, სააკაშვილი ისე შემოვიდა, ვერაფერი გაიგეს“.

დიახ, ამას ამბობს ნინო ბურჯანაძე, რომელსაც ორჯერ აქვს მიცემული ჩვენება სააკაშვილის წინააღმდეგ. პირველი იყო 2007 წლის დარბევის საქმეზე. სააკაშვილის იმჟამინდელ ადვოკატ ოთო კახიძის თქმით, სწორედ ის არის საქმეში ერთადერთი და მთავარი მოწმე. სხვათა შორის, ბურჯანაძის ჩვენება ეწინააღმდეგება 2007 წლის 9 ნოემბერს პარლამენტში მის გამოსვლას, როდესაც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სპიკერმა 7 ნოემბრის აქციის დაშლა და მის გარშემო განვითარებული მოვლენები ქართული სახელმწიფოს გადარჩენად შეაფასა, ჩვენებაში კი უთითებს, რომ აქციის დაშლა მიხეილ სააკაშვილის უკანონო გადაწყვეტილება იყო.

ამონარიდი 2014 წლის 28 ივლისს მიცემული ჩვენებიდან (სტილი დაცულია):

„მე ყველანაირად ვცდილობდი, ხელისუფლებას არ მოეხდინა მომიტინგეთა დაშლა, ვინაიდან ეს კიდევ უფრო გაამწვავებდა მოსახლეობის ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებას, რასაც შესაძლოა, ცუდი შედეგები მოჰყოლოდა. 7 ნოემბრის დილას გამაღვიძა დავით უსუფაშვილმა და ტელეფონით შემატყობინა, რომ სამართალდამცავების მხრიდან მოხდა მოშიშვლებების აყრა. წავედი პატრიარქთან. დარწმუნებული ვიყავი, სააკაშვილი და მისი იდეოლოგები აქციის მონაწილეების მიმართ ძალას გამოიყენებდნენ, რასაც ცუდი შედეგი მოჰყვებოდა, გავემართე პატრიარქთან და ვთხოვე, სიტუაციის დარეგულირების მიზნით, რაიმე ზომები მიელო. პატრიარქთან ცნობილი გახდა ჩემთვის, რომ სამართალდაცველებმა დაიწყეს აქციის დაშლა... იმავე დღეს, როგორც თქვენთვის ცნობილია, მომიტინგეებმა გადაინაცვლეს რიყეზე, სადაც ანალოგიურად მათ წინააღმდეგ გამოიყენეს ძალა, ხოლო რუსთაველსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, კონტროლის მიზნით, გამოიყვანეს საქართველოს შეიარაღებული ძალები. ჯარის რუსთაველზე გამოყვანა იყო უკანონო გადაწყვეტილება, რაც, რა თქმა უნდა, შოკურ მდგომარეობაში მიიღო პრეზიდენტმა სააკაშვილმა“.

დაიმახსოვრეთ, ბურჯანაძე ჩვენებაში წერს, რომ სააკაშვილმა გადაწყვეტილება მიიღო შოკურ მდგომარეობაში. რას ნიშნავს შოკური მდგომარეობა? ჩვენებურად რომ ავხსნათ, ის გახლდათ გიჟმაჟურ, შლეგურ მდგომარეობაში (გოგა ხაინდრავას ფილმში რომ აფრენს, ისეთ მდგომარეობაში), ანუ კოკაინისა და ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ. არ დაიმიწყოთ, ეგრე არ იქნებოდა, არ იკადრებდაო. იკადრებდა, კადრულობს და მომავალშიც იკადრებს. პატრიარქისგან წამოსული ბურჯანაძე გამოდის პარლამენტში და სულ სხვა რამეს ამტკიცებს:

„პატრიარქმა ჩემთან დილის შეხვედრისას ბრძანა ჩემთვის და თქვენთვის, ალბათ, თითოეული ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანი ფრაზა. მან თქვა, რომ ქვეყანამ გაიმარჯვა. დიახ, ქვეყანამ გაიმარჯვა და ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი“.

იმან, პატრიარქმა თქვა, დღეს საქართველომ გაიმარჯვაო, 2014 წელს კი ისევ შეიცვალა აზრი და სასამართლოს მიმართა, სააკაშვილმა დანაშაული ჩაიდინაო.ეს გახლავთ დაახლოებით ოთხმაგი თამაში (თუ მეტი არა), აქ აღარ ჩამოვთვლი, შემდგომში როგორ დაბრძანდებოდა ქალბატონი ბურჯანაძე „მოსკოვებში“ და როგორ სთავაზობდა თავის უბადრუკ პოლიტიკას ვლადიმერ პუტინს, ეს სხვა თემაა.

სანამ ის სასამართლოში დაიკითხებოდა, ძალიან ბევრჯერ შეიცვალა აზრი, ხან ლაპარაკობდა, რომ 2007-ში ქართული საზოგადოება შედგა და ამავე დროს ქართული სახელმწიფოც შედგა. ნახეთ, კარგად წაიკითხეთ, რას ამბობდა (ბიდავდა) დარბევის შემდეგ, სანამ პარლამენტის თავმჯდომარეობას დაემშვიდობებოდა:

„ეს იყო მცდელობა ცალკეული პოლიტიკური ძალების მხრიდან ხელისუფლების და ქვეყნის დაშანტაჟებისა. ნებით თუ უნებლიეთ, ძალიან ბევრი ადამიანი აღმოჩნდა ჩართული იმ პროცესებში, რომელსაც ძალიან კონკრეტული გვარები და სახელები მართავდნენ, ძალიან კონკრეტული ქვეყნის და ძალიან კონკრეტული ძალების ინტერესებში შედიოდა ის, რომ ქვეყანაში ყოფილიყო არასტაბილურობა და სერიოზული საფრთხე მომავალი განვითარებისა“.

სააკაშვილის წინააღმდეგ მიცემულ ჩვენებებს ცოტა ხნით დავანებოთ თავი, ბურჯანაძე აცხადებდა, ძალიან ბევრი ადამიანი აღმოჩნდა ჩართული იმ პროცესებში, რომელსაც ძალიან კონკრეტული გვარები და სახელები მართავდნენო, ისინი






მხილებულნი და ეჭვმიტანილნი არიან კონკრეტულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაშიო. ჯერ ერთი, ქალი, რომელიც საკუთარი ფეხით ორჯერ ჩავიდა პუტინთან, სხვებს ადანაშაულებდა კონკრეტულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში. არა, მაშინ ბურჯანაძე ჯერ არ გახლდათ ჩასული კრემლში, მაგრამ აქ საინტერესოა, თვითონ როდის „დაავერბოვკეს“ რუსებმა, დარბევამდე თუ დარბევის შემდეგ? მეორე – იმ ეჭვმიტანილთა დიდი ნაწილი მასთან ერთად იჯდა ამ ზაფხულს შალიკოს ფანჩატურში. მე მახსოვს, 2007-ში ძმებ ბერძენიშვილებს აუდიო ჩანაწერიც კი გამოუქვეყნეს, ერთი ძმა ლევანა ვიღაც რუს სამხედრო მაღალჩინოსანს რომ ებაზრებოდა და ანგარიშს აბარებდა. აი, მერე მეტყვიან, საიდან იცი, რომ შალიკოს ფანჩატურის დროებითი მობინადრეების 99,99% რუსეთის აგენტი გახლავთ. მათ დროთა განმავლობაში ერთმანეთი ჩაუშვეს, „გაშიფრეს“ და ბოლოს, როცა დასჭირდათ, შეიკრიბნენ. ახლაც ასე მოხდა, არჩევნების პერიოდში, ისევ მოინდომეს ამ ქვეყნის ხელში ჩაგდება, ისევ მოინდომეს საქართველოს ყვლეფა და ჯიჯგვნა.

სხვათა შორის, ადამიანს ხშირად გონია, რომ მავანი ნაკითხი და განათლებულია. თუმცა ეს ე.წ. ნაკითხი უცებ „დაახეთქებს“ უცნაურ რაღაცას და მორჩა, ეგრევე ხვდები, როგორ ქაჯთან გაქვს საქმე. ნინო ბურჯანაძემ 2007 წელს პარლამენტში გამოსვლისას 1917 წლის 7 ნოემბერიც გაიხსენა... აბა, წარმოიდგინეთ, ნიკოლოზ მეორეს სისუსტე რომ არ გამოეჩინა, რევოლუცია ხომ არ მოხდებოდაო? სწორედ მის ადამიანურ სისუსტეს მოჰყვა სისხლის მდინარეები კი არა, სისხლის ოკეანეებიო. ჩვენც ნიკოლოზივით ადამიანური სისუსტე რომ გამოგვეჩინა, იგივე განმეორდებოდაო. ხედავთ, რა დღეში აქვს ამ ადამიანს გონება? ხედავთ, საერთოდ რომ ვერ ანსხვავებს ერეკლეს და თავისი ბაბუის ყურებიან ქუდს? იმასაც ვერ ფიქრობს, რა დიდი სისულელე თქვა – ნიკოლოზს რომ არ გამოეჩინა ადამიანური სისუსტე, ლენინს რომ არ მოეხდინა რევოლუცია, დედამიწის ერთ მეექვსედზე და საქართველოშიც რომ არ დამყარებულიყო საბჭოთა წყობილება, ანზორ ბურჯანაძე ხომ ვერ გახდებოდა რაიკომის მდივანი და ამავე დროს ქვეყნის მთავარი მეფქვილე? რომ არა ნიკოლოზის ადამიანური სისუსტე, სად იქნებოდა, როგორ აეწყობოდა ნინო ბურჯანაძის ცხოვრება? არა, ამაზე არ ფიქრობს, ვერ ფიქრობს, არ უნდა აღიაროს, რომ „ავრორამ“ პირდაპირ მისთვის გაისროლა.

საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, იუსტიციის ყოფილ მინისტრს ზურაბ ადეიშვილს და თავდაცვის ყოფილ მინისტრს დავით კეზერაშვილს ბრალი დაუსწრებლად წაუყენეს. გიგი უგულავას და ვანო მერაბიშვილს კი, ბრალდება საპატიმრო დაწესებულებებში წარუდგინეს. მთავარი პროკურატურის განცხადებით, საქმე ეხება 2007 წლის 7 ნოემბერს მომიტინგეთა მასობრივ დარბევას, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრას და ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდებას.

ვიმეორებ: მიხეილ სააკაშვილის 80-ტომიან საქმეში მთავარი და ერთადერთი მოწმე, ვინც სააკაშვილის მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე საუბრობს, ნინო ბურჯანაძეა. მისი ჩვენების თანახმად, გადაწყვეტილება „იმედში“ შეჭრის თაობაზეც სააკაშვილმა მიიღო.



„ყველა იმ დანაშაულში, რომელზეც დღეს იყო საუბარი, უმთავრესი დამნაშავე მიხეილ სააკაშვილია. ვფიქრობ, აუცილებლად მომიწევს ამ სასამართლოში მოწმის სახით სააკაშვილის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა, როდესაც სააკაშვილი განსასჯელის სკამზე იჯდება“.

და აი, დადგა დრო, სააკაშვილი მალე დაჯდება განსასჯელის სკამზე, მაგრამ მანამდე ის უკვე ზის დათბუნებულ საკანში, სადაც დიდი მონდომებით წუწნის თაფლიან თითს. ქალბატონმა ბურჯანაძემ აზრი ისევ შეიცვალა, გონებაში უახლოესი წარსულიც კი აუყირავდა, თურმე მიხეილის დაპატიმრება ბიძინა ივანიშვილის სურვილი ყოფილა... დავუშვათ, ყოფილა, მერე? ვისი ჩვენებების საფუძველზე? ამან, ამ ბურჯანაძემ მთავრობას კიდევ ერთი ბრალდება წაუყენა – სააკაშვილი ისე შემოვიდა, ვერაფერი გაიგეთ, საზღვრები მორღვეულიაო. აქ თავის მეუღლეს, ბადრი ბიწაძესაც აუწია მაზანდა (ის საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე გახლდათ), მაგრამ კიდევ ვერ მიხვდა, რა მაგარი სისულელე წამოაწვინა. ჩვენ კარგად გვახსოვს, როგორ გააპარეს ბადრი ბიწაძე 26 მაისის ღამეს საქართველოდან, ჩაიყვანეს ვენაში და დააბინავეს ძვირადღირებულ სასტუმროში. ამოცანა გვეკითხება: მაშინ, როცა ბიწაძე გუბაზ სანიკიძემ აქედან გააპარა, საზღვრები არ იყო მორღვეული? აჰ, არა? თუ ასეა, მაშინ სიმართლე ყოფილა ინფორმაცია, რომ ბურჯანაძემ იმ ღამეს ათასობით

ადამიანს უღალატა, სააკაშვილს მიეყიდა, დასახიჩრებული ხალხი ჯალათებს შეატოვა.

●

ქალბატონ ბურჯანაძეს კოვზი ისევ ნაცარში ჩაუვარდა. ვაააჰ, ეს უკვე მერამდენედ? ის ვერ გახდება ქუთაისის ვიცე-მერი. მას უნდა სცოდნოდა, რომ ვერც გახდებოდა, ეგრე სად არი, მაგდან?!

თუ პრობლემას უფრო ჩავუღრმავდებით, აღმოვაჩენთ, რომ მას საკუთარი ვაჟი ისევ გარეთ დარჩა, ვერა და ვერ ამოქოქა, ვერ გააქტიურა „დიდ“ პოლიტიკაში.

რას იზამს ახლა ბურჯანაძე? ფაქტობრივად ვერაფერს, სამი წლის განმავლობაში არჩევნები აღარ იქნება, იჯდეს სახლში და ქსოვოს წინდები პრეზიდენტყოფილ მარგველაშვილივით.

ეეეჰ... ამ ქვეყნის ბედსა და ირონიას რა ვუთხარი, თორემ რაღა დროს ბურჯანაძეა?!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# რომელი წალენჯიხის ამყვავებლები ხართ თქვენ, თქვე ავაზაკებო!



## ღია წერილი სახელოვან, საშუალო და მცირე ტრულაილებს

წინა ოთხშაბათს მეხივით გავარდა ცნობა იმის თაობაზედ, რომ თურმე მამუკა ხაზარაძე, თემურ ჭყონია და სხვა ბიზნესმენები წალენჯიხაში გადადიან არა მხოლოდ საცხოვრებლად, ბიზნესის საკეთებლადაც. მათ წალენჯიხაში („ნაცმოძრაობის“ კანდიდატის, გიორგი ხარჩილავას მიერ მოგებულ მუნიციპალიტეტში) უნდა გადაიტანონ თავიანთი საბანკო ანგარიშები, აქტივები და ჰეეე, მიდით, მოვდივაააარ, იწყება თავდავიწყება, აყვავება და გაჯეჯილება!

მამუკა ხაზარაძე: „გადმოვსახლდები წალენჯიხაში, ვიყიდი ბინას, დავუდგები წალენჯიხის მერს გვერდში და მთელ გამოცდილებას მოვახმარ იმას, რომ წალენჯიხა ვაქციოთ ოაზისად“.

ჰმ... ბატონმა მამუკამ, ბინას ვიყიდიო. რატომ უნდა იყიდოს, დავიჯერო, ამხელა წალენჯიხაში „თიბისი ბანკის“ ვალი არავის აქვს? გამოასახლოს და დაივანოს იქ, როგორც მისმა მოუსვენარმა სულმა დაივანა ათასობით ბინაში მთელი საქართველოს მასშტაბით.

ამ ორ ტრულაილას შეუერთდნენ სხვა მცირე ტრულაილებიც – მაგალითად, ჩავიდა წალენჯიხაში ნანუკა ჟორჟოლიანი, გაიზმორა, გაშალა ხელები და წარმოსთქვა: „ჩემი საქართველო აქ არის“!

სამეგრელოს დასალიერში გადასახლებას ასევე აპირებენ: ინგა გრიგოლია, ნიკა გვარამია... ავნოდარაზე (მელაძე) ჯერ ვერაფერს გეტყვით, როცა წალენჯიხაში სიტუაცია დარეგულირდება, ალბათ მერე ეწვევა.

### ჰეი, თქვენ, აფერისტებო!

ამ ქვეყნის ცნობილო ტრულაილებო, სად მიდიხართ, წალენჯიხაში რა დაგრჩენიათ? ეგეთ საქციელზე იტყვიან ხოლმე კახეთში, საით კუდი და საით ილლიაო?

ბატონო მამუკ, თქვენს უბადრუკ და უნიჭო საქციელზე მეცინება, საკუთარ მეზობლებს აბოლებთ (მეტი არავინ გიჯერებთ), დილით თემურ ჭყონიას წერილი დამხვდაო, თურმე ისიც მოგყვებათ წალენჯიხაში:

„მეც მოგყვები წალენჯიხაში, როგორც კი დაიწყებ, ეგრევე ჩამოვალ”.

თქვენი პასუხი: „მაგარი კაცი ხარ თემურ, მადლობა, ერთად ბევრ საქმეს გავაკეთებთ“.

ჰა, ჰა, ჰა... მაგ ჭყონიამ ქობულეთი ხომ ააყვავა, ახლა წალენჯიხას გადააბიბილებს („ბიბილა“ ქიზიყურად ყვავილია, აბა, იცოდით? წერტილ-მძიმის დასმა არ იცით, ეს საიდან უნდა იცოდეთ?). არა მგონია, მაგან რამე გააკეთოს, მაგრამ თუ გააკეთებს, ახლავე მოვყვები, რაც იქნება: წალენჯიხაში რამდენიმე ჰექტარს მიიგდებს, შემოღობავს, რაღაცებს მიაშენებს, მოაშენებს, ადგილობრივებმა ძალიანაც რომ მოინდომონ, ღობის იქით რა ხდება, ვერ გაიგებენ. რავი, ზუსტად ეგრე გააკეთა ქობულეთში, ეგრე „ააყვავა“ იქაურობა.

რომელი წალენჯიხის ამყვავებლები ხართ, თქვე ავაზაკებო? იქ „თიბისის“ ერთი საცოდავი ფილიალი გქონიათ და ისიც გაგიუქმებიათ, ბანკომატიც კი არ დაგიტოვებიათ ადგილობრივებისთვის. გისმენთ, გიყურებთ ორივეს, ორივე ტრულაილას და გაოცებული ვარ – აშკარად ვხედავ, ბიზნესთანაც ძაან მწყრალად ხართ. რომ არა თქვენი თაღლითური ე.წ. სქემები, ამდენ ფულს ნამდვილად ვერ იშოვიდით, პატიოსნური გზით ბიზნესის კეთების ჭკუა არ გაქვთ. მე არ ვარ ბიზნესმენი, მაგრამ ელემენტარული საკითხია – სანამ რამე ე.წ. პროექტს დაიწყებ, აუცილებლად უნდა შეისწავლო ადგილობრივი სიტუაცია, მოსახლეობის შესაძლებლობები,



რესურსი, ბაზარი და ასე შემდეგ. როგორ ფიქრობთ, წალენჯიხას, სადაც 2014 წლის აღწერით 26 158 კაცი ცხოვრობდა (ახლა ალბათ ნაკლები იქნება, აგერ გადავამოწმე და 24776 კაცია), რა რესურსი გააჩნია, რომ თქვენი მოთხოვნილებები დააკმაყოფილოს და მოგებაც მოგიტანოთ? ეხლა არ დაიწყოთ, ჩვენ ქველმოქმედური გრძნობები გვამოძრავებს, მოგებაზე საერთოდ არ ვფიქრობთო. ჰა, ჰა, ჰა... კაცი, რომელიც საკუთარ სახელმწიფოს „სეერთაშორისო“ სასამართლოში უჩივის და მილიარდ დოლარს ითხოვს, იმას ქველმოქმედური გრძნობები საიდან უნდა ჰქონდეს? დიახ, თქვენზე ვამბობ, ბატონო მამუკ, ძალიან გთხოვთ, ნუ იჭინთებით უხეიროდ, არ გიხდებათ, თქვენი და ჭყონიას უკანალები შიშველია.

იცით, საიდან ვასკვნი, რომ ყველანი მაგარი აფერისტები ხართ? მაგას არ უნდა დიდი კვლევა და ძიება, ნახეთ, რას ამბობთ, ანუ როგორ გეგმავთ წალენჯიხის ე.წ. განვითარებას:

„მე დამაინტერესა მერმა, რომელიც წალენჯიხაში აპირებს იმ პროექტების განხორციელებას, რომელშიც შემიძლია მონაწილეობა. მომეწონა მისი ხედვები, მომეწონა რომ გაიმარჯვა, მომეწონა რომ მონდომებულია. ჩვენ თუ ვსაუბრობთ რომ კოალიციური მმართველობა უნდა იყოს პროგრესული საქართველოში, ამას ხელშეწყობა უნდა, ბიზნესაზარტია”.

აი, ხომ პირდაპირ გეუბნებით, რომ აფერისტები ხართ? ჯერ ამბობთ, მერმა დამაინტერესა, მისი ხედვები მომეწონაო, ბოლოს კი ასკვნით, ბიზნესაზარტიაო. დიახ, არ ხართ თქვენ ის ხალხი, ერთ გროშს მაინც რომ გაიღებს ხალხისთვის და სამაგიეროდ არაფერს მოითხოვს, მოგებას არ ნახავს.

ბატონო თემურ, თქვენ კიდევ აღარც ასაკი გიწყობთ ხელს, აღარც გონებრივი შესაძლებლობა, რატომ იფუჭებთ ისედაც გაფუჭებულ სახელს? ნიკა გვარამიას რომ კაცი აჰყვება და ფულებს ჩაურიცხავს, ის კაცია თუ გონებადაქვეითებული ტარაკუა? არა, სიმართლე გითხრათ, თქვენი პერსონაც ძალიან მახალისებს და მართობს... ჰო, კიდევ ის მართობს, ტელევიზორში ხელებზე ასხმულ ოქროულობას რომ გამოაჩენთ ხოლმე. სულ მგონია, კობა ნაყოფიას დამღადასმული ბაჯაღლოებით „მარიაჟობთ“. ახლა კიდევ თურმე ახალი მისია გქონიათ შესასრულებელი:

„მისია მაქვს შესასრულებელი... ხელით მინდა შევეხო თვითმმართველ მერს. წალენჯიხაში ჩასვლას დეკემბერში ვგეგმავ“.

ბატონო თემურ, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთო ცნობილო ტრულაილავ, ესე იგი, წალენჯიხაში ოფიციალურ ვიზიტს გეგმავთ დეკემბერში, რათა ხელით შეეხოთ თვითმმართველ მერს, მხოლოდ ეს მისია გაქვთ, ხომ? ვერაფერს ვიტყვი, თქვენი მხრიდან ესეც უდიდესი დიდბუნებოვანებაა, რა თქმა უნდა, თქვენ მხოლოდ საგანგებო მისიებს ასრულებთ, მიხვალთ, ხელით შეეხებით და მორჩა, საქმე გაკეთებულია, ადგილობრივებს ბედნიერებად ეგეც ეყოფათ. რავი, ქობულეთში ადრე ქვებით და ჯოხებით დაგდევდნენ, ეხლა როგორი სიტუაციაა?

ქობულეთში ვასილ პავლეს ძე მჟავანაძის „დაჩა“ რომ იყიდეთ მიხას მმართველობის პერიოდში, იქაურები მას მერე იცინიან, ასლან აბაშიძეს აჭარის ფაშას ეძახდა და თვითონ ისე მოეწყო, ქობულეთის ფაშა გახდა, აჭარის ფაშობა უნდა, მაგრამ ვერ ეღირსებაო. ადგილი, რომელიც თქვენ გაანადგურეთ, ადრე ფიჭვნარი ერქვა, ეს იყო გულის დაავადებათა სამკურნალო ტერიტორია, აქ არსებობდა ბავშვთა სანატორიუმი. მერე? მერე როგორ ააყვავეთ? იქ ახლა სასტუმროა, სპორტული კომპლექსით და მანქანების სადრიგინო ადგილებით. თქვენ ერთობით, შემოსავალიც გაქვთ, მაგრამ ადგილობრივებს რა ხეირი? არაფერი, ჰაერი ჰქონდათ ფიჭვნარის წყალობით და ისიც გაუკაფეთ, მწვანე ზოლი გაუნადგურეთ, მოგვიანებით ზღვისპირის გადაკეტვაც სცადეთ, მაგრამ აქ უკვე წითელი აგინთეს.

თქვენ, ბებერო ტრულაილებო, ფული რომ გაქვთ და არ იცით, სად წაიღოთ, ერთი ხის დარგვაც რომ არ გინდათ მოგების გარეშე, წალენჯიხის მერი ძაან მაგარი და ციდან ჩამოფრენილი რატომ გგონიათ? კი, ბატონო, ამბობენ, წესიერი ადამიანია, ადრე „მრეწველებში“ იყოო, მაგრამ მისი გამარჯვება „ქართული ოცნების“ დამსახურება უფროა, ვიდრე „ნაციონალური მოძრაობისა“. დიახ, ამ ადამიანს (გიორგი ხარჩილავას) იმიტომ მისცეს ხმა, რომ „ოცნების“ გოგა გულორდავა, რომელიც 2013 წლიდან იყო წალენჯიხის გამგებელი, შემდეგ კი წალენჯიხა-ჩხოროწყუს მაჟორიტარი დეპუტატი, არ სარგებლობდა კარგი სახელით. ეს უკვე სხვა თემაა, რატომ, რისთვის და რანაირად დასახელდა მერობის კანდიდატად. სულაც ციდან ჩამოფრენილი კანდიდატი რომ ყოფილიყო, როცა ამა თუ იმ რეგიონში თბილისელს ან მეზობელ რაიონელს აგზავნი, ადგილობრივებში აუცილებლად იწვევს უკურეაქციას. როგორ, წალენჯიხაში არ მოიძებნა ერთი ნორმალური ადამიანი, რომელიც „ნაცმოძრაობას“ მოუგებდა და მერობასაც გასწევდა? ალბათ მოიძებნებოდა, მაგრამ მერე? არც არაფერი, მოხდა ისე, როგორც მოხდა. ამით იმის თქმა მინდა, ბატონო ტრულაილებო, რომა... მთლად თავშიც ნუ აგივარდებათ, თუ ძაან გატრიპაჩდებით, შეიძლება ადგილობრივებმა ჯოხებითა და ქვებით გამოგაძევონ, უკეთეს შემთხვევაში ლაყე კვერცხებს დაგიშენენ.

ყველაფერს დავანებოთ თავი, თქვენი ასაყვავებელი და აყვავებული არ გაიშვა არსად, მე და ჩვენ სხვა რამე გვაწუხებს... ამ ეტაპზე წალენჯიხა განაპირა რაიონია, დასავლეთიდან გალი ესაზღვრება, რომელიც ფაქტობრივად სეპარატისტების სათარეშოა. რა გინდათ, ეს ზღაპრული ბუნების ადგილი ისევ შარში უნდა გახვიოთ? გასაგებია, რომ თქვენ რუსეთის აგენტები ბრძანდებით, მაგრამ მაინც გახსოვდეთ, საქართველოსთან რაღაც ხომ გაკავშირებთ? ნუ იზამთ ისე, კიდევ დავკარგოთ ტერიტორია, თორემ სარზე გასმა არ აგცდებათ.

ემანდ ხელი არაფერზე წაგიცდეთ, წალენჯიხა თქვენი სათამაშო არ არის. ახლა პაატა ბურჭულაძეს დაუბრეხვებია, მეც მოვდივარო. მაგასაც მაგრად უყვარს ფული, იქიდან მოკლეზე ივლის რუსეთში – გადავა, გადმოვა, გადავა, გადმოვა, რა ენაღვლება?

სახელოვანო, დიდო, საშუალოვ და მცირე ტრულაილებო, უკანალს ნუ ათამაშებთ, თქვენი უნიჭო სპექტაკლებით ვერავის მოატყუებთ!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# როგორც იქნა, შევიდნენ „ბუტკაში“!



ერთი კვირის წინ გამოაცხადეს: ეხლაო, ამიერიდანო, გადამწყვეტი ბრძოლა იწყება, შვიდ-რვა დღეში ეს ხელისუფლება აღარ იქნება, ჩვენ მოსულები ვართ, უბრალოდ გადაფორმებაღა დაგვრჩაო. ყველა დიდ ქალაქში გრანდიოზულ აქციას გავმართავთ, 7 ნოემბერს კი თბილისში, თავისუფლების მოედანზე შევიკრიბებით უთვალავი რაოდენობით, 14 ოქტომბერს რომ ვიყავით, მაგასთან შედარებით ასჯერ მეტნი ვიქნებითო. მორჩა, მოთმინების ფიალა აივსოო. უი, შეგვეშალა, 7 ნოემბერი რაღაცნაირი დღეა, გრანდიოზულ მიტინგს 6-ში გადმოვიტანთ, ერთი დღე აქეთ იყოს, იქით იყოს, მნიშვნელობა არ აქვსო.

ბათუმში შეიკრიბნენ, ცოტანი იყვნენ, იღნავლეს, იბღავლეს — არაფერი, დაიშალნენ. ზუგდიდში შეიკრიბნენ, უფრო ცოტანი იყვნენ, იღნავლეს, იბღავლეს — არაფერი, დაიშალნენ. ქუთაისში შეიკრიბნენ, იმდენნი იყვნენ, ვერავინ ვერაფერი გაიგო, ვერც იღნავლეს, ვერც იბღავლეს, დასაშლელიც არაფერი ჰქონდათ.



ნანუკა ჟორჟოლიანმა „ბუტკა“ გამართა და შეძვრა. თავისუფლება მიშასო. 2012-ში ბიძინა ივანიშვილმა ერთ-ერთი პრესკონფერენციის დაწყებამდე ანეკდოტი თქვა, რომელიც ასე მთავრდებოდა: „შედი, ქალო, ბუტკაში“! ბატონ ბიძინას აქვს წინასწარმეტყველური მონაცემები, გავიდა 9 წელიწადი და ისინი, ქალებს რომ ჰგვანან, მაინც შევიდნენ „ბუტკაში“.

ამ აქციის მთავარი კლოუნი იყო ნიკანორ მელია. მან ხელისუფლებას მისცა 24-საათიანი ულტიმატუმი, თუ სააკაშვილს მრავალფეროვან კლინიკაში არ გადაიყვანთ, ორშაბათს, 8 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე მთელი საქართველო თავისუფლების მოედანზე დადგებაო. უკაცრავად, შემეშალა, მელიამ ულტიმატუმი ხელისუფლებას კი არა, პირადად ბიძინა ივანიშვილს წაუყენა, ან ამას გააკეთებ, ან არა და... ორშაბათსვე ჩამოგართმევთ მიტაცებულ ძალაუფლებასო.

სულ ვამბობ და კიდევ ვიტყვი, ესენი ავადმყოფები არიან, 5 ნოემბერს ნიკა გვარამიამ მიხეილ სააკაშვილი გიჟად გამოაცხადა. ესე იგი, კარგად რომ აგიხსნათ, ეს გიჟი იმ გიჟზე იძახის, გიჟიაო, გეგონება ორივენი გიჟები არ არიან!

რა ხდება, მრავალფეროვანი კლინიკა არ გამოუვიდათ და ახლა ფსიქიატრიულის ვარიანტს აწვებიან?

მიხოს კიდევ ერთი „ბომბი“ გაუსკდა ღიპს ქვემოთ — 23 სექტემბერს კუჭი დაუვიწროებია ქირურგიულად ჰოლანდიაში. ამ საქმის მცოდნეები ამბობენ, რომ ახლა მას რეაბილიტაციის პერიოდი აქვს.

ამას მოჰყვა პენიტენციური სამსახურის მიერ გავრცელებული კადრები, სადაც მიხეილ სააკაშვილი ფაფას მიირთმევს. მოგვიანებით ამავე სამსახურმა გაავრცელა ფოტოები იმ ფაფებისა, რომელსაც სააკაშვილი პირველი ოქტომბრის შემდეგ თქვლეფს. ჩამონათვალს გიული ალასანიას ძუძულა აკლია, თორემ იმასაც მოწოვდა, ეს ჩემისა!

საიდან იყო და საიდან არა, პაატა ბურჭულაძეც გამოძვრა, მან „ქართულ ოცნებას“ მიმართა, მზად ვარ, მიხეილ სააკაშვილს ციხეში ჩავენაცვლო და მის მაგივრად



ვიშიმშილოო. ის აღარ უთქვამს, სულხან მოლაშვილის, სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძისა და სხვათა მკვლელობებს ჩემს თავზე ავიღებო.

მიშმადიდებელთა გონებრივ შესაძლებლობებზე დიდი წარმოდგენა არასდროს მქონია, მაგრამ მაინც გაოგნებული ვარ. ბოლო-ბოლო, ეს მაინც ხომ გასული ტიპია, მთელი მსოფლიო შემოუვლია, მიმდგარა, მომდგარა, ვიღაცებისთვის ხელი ჩამოურთმევია, სცენაზე ასულა, დაუყვირია, გაბრაზებულა, კუშტი გამომეტყველება მიუღია... ამ ცხოვრების დედა ვატირე, რატომ ვერაფერი უსწავლია? ბანია, ბასია, ბარიტონია, ხარიტონია, გრამიტონია, ვინ არი, რა უნდა, რას ბოდიალობს?!

ჩვენ ძალიან მაზალო სახალხო დამცველი გვყავს. გარდა იმისა, რომ ის ფულიყლაპიაა (მილიონებს ოფისის ქირაში ხარჯავს, აშკარად ასდის „ატკატის“ სუნი), გავარვარებული ნაციონალია. საკმარისია, მიხეილ სააკაშვილის რომელიმე მონას თითი დაეწვას, ეგრევე ყურებზე დგება, განგაშის ზარებს არისხებს, ვითომ სწავლობს, ვითომ იკვლევს, თან ხელისუფლებას ემუქრება, სიცრუეში ადანაშაულებს. თუ „ოცნების“ მომხრეს გაუჭირდა, ხმას არ იღებს, ეგრევე აცხადებს, კერძო საქმეები მე არ მეხებაო, მხოლოდ მუნიციპალიტეტების მდგომარეობას ვსწავლობო. ახლა მიშას კვების რაციონს სწავლობს, პენიტენციურ სამსახურს უტევს, ფაფებს კი ჭამს, მაგრამ ეგ არ ითვლება, სააკაშვილი მაინც შიმშილობსო... ვიდეოებს რომ უქვეყნებთ, რა წესიაო? არადა, არ გამოუქვეყნებ, შარია, გამოუქვეყნებ — მაინც შარია... ისევ ასე სჯობდა, უნდა გამოექვეყნებინათ, წაიღო ტვინი აფერისტობით. ყოველდღე ღნავის, დაპატიმრების დღიდანვე მიზეზიანობს, ჯერ იმაზე ატყდა, ხინკლის ჭამა არ დამაცადესო, მერე — ლეიბი არ მაქვსო, თურმე ჰქონია, მეორე უნდოდა. ტელევიზორს არ მაძლევენო, მოუნდა საჩუქრად, მაგრამ ვერ მიართვეს, თავისივე „მაყუთით“ აყიდინეს. თაფლი მოითხოვა, მიუტანეს, თქვლიფა.

მონობაც გამიგია, ყმობაც, ქვეშემრდომობაც, ქვემდგომობაც, მაგრამ ეგეთი? მე პირადად ფილმებშიც არ მინახავს. უბრალოდ დაუჯერებელია, როგორ შეიძლება, სატანამ, რომელსაც მიხეილ სააკაშვილის სახე აქვს, 9 წელიწადში, თუნდაც 15 წელიწადში, თუნდაც 18 წელიწადში (თუკი იქიდან გადმოვითვლით, რა დროიდანაც ხელი-



სუფლებაში არიან), ამდენ ადამიანს სულში შეუძვრეს, გააფუჭოს და ააყროლოს? წარმოგიდგენიათ? ზოგიერთი ისე ჰყავს გამოჭერილი, ეუბნება, მაწონი შავიაო და ესენიც თავს უკრავენ. მეტიც, მარტო მაწონი კი არ არი შავი, „ფეჩიც“ აკორდეონია, ნახეთ, რა მაგრად უკრავსო, ანუ პიურე საკვები არ არისო.

მიხეილ სააკაშვილი დღეგამოშვებით გვაშანტაჟებს, თუ პრეზიდენტად არ დამნიშნავთ, აღარც ფაფას შევჭამ, აღარც გლუკოზას მივიღებ და აღარც წვენებს დავლევო... მოვკვდები და ყველაფერი თქვენს სინდისზე იქნებაო. რაღა დაგიმალოთ და ამ აფერისტმა ბევრს აუჩუყა გული, ქართველების ამბავი ხომ იცით? ის კი არა, ზოგი იძახის, გავუშვათ, ბოლო-ბოლო, ბალღია, გაიზრდება და აღარ იცელქებსო.

სუსი-ს ინფორმაციით, აქციის ორგანიზატორები აქტიურად განიხილავენ ძალოვანი სტრუქტურების ცალკეული თანამშრომლების გადაბირებისა და ერთ-ერთი ოპოზიციური ლიდერის ლიკვიდაციის შესაძლებლობასაც. ძალადობრივი გზით ხელისუფლების დამხობა იგეგმება მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილის მიერ, რომელიც პენიტენციურ დაწესებულებაში მის სანახავად შესულ პირთა მეშვეობით, აძლევს დირექტივებს სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების ლიდერებს.

ახლა მიჩნდება შეკითხვა — მერე?

კი, ბატონო, ესენი გეგმავენ არეულობას, სახელმწიფო უწყებების ბლოკირებას, ვიღაცების გადაბირებას, სააკაშვილი მასთან შესულებს აძლევს დირექტივებს, ამ დროს რას ვაკეთებთ? მიმდინარეობს გამოძიება? ადამიანი ბოროტებას ამზადებს და ამ დროს ვერ ვხედავთ მასთან სტუმრიანობის შემცირებას, პირიქით, ვისაც ხო-

ში აქვს, ყველა შედის და ყველა გამოსული იმუქრება. არც ეგეთი დემოკრატია ვარგა და არც ეგეთი სიტყვის თავისუფლება! ეს არც დემოკრატიაა და არც სიტყვის თავისუფლება, ეს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული მავნებლობაა!

აფერისტი სააკაშვილი აცხადებს, რაც ჩემს მიმართ გამოიყენება, ეს არის კლასიკური წამებაო. გაიგონეთ? მე მაწამებენო. უტიფარი!

ნამუსი არც ადრე ჰქონდა, ახლა კი მით უმეტეს!

●

7 ნოემბერს რუსთაველზე ნაწამები ადამიანები და მათი ნათესავები, ნაცნობ-მეგობრები გამოვიდნენ, თავი მოიყარეს ჩვეულებრივმა მოქალაქეებმა და მათ თქვეს: ჯალათების პარტია უნდა აიკრძალოს! მიხეილ სააკაშვილი უნდა იჯდეს ციხეში!

სააკაშვილის რეჟიმის მიერ გაწირული ახალგაზრდების მშობლები ყვებოდნენ, თუ რა ძნელია მათთვის ამ უნამუსობის ყურება, რასაც სახელად სააკაშვილი ჰქვია.

მოვიდა ხალხი წყნარად, გამოხატა თავისი გულისტკივილი. „ნაცები“ და მათთან გათანაბრებული პირები რომ ყოფილიყვნენ, იღმუვლებდნენ, იბუქსავებდნენ და დაიშლებოდნენ.

„უცნობის“ (გია გაჩეჩილაძის) მიერ დაგეგმილმა აქციამ თავისი საქმე გააკეთა — თბილისმა კიდევ ერთხელ უთხრა ჯალათებს არა!

●

ხელისუფლებას ულტიმატუმის ვადა ამოეწურა, ხმა არავის ამოუღია, გეგონება არც არაფერიო. ნიკანორ მელია ასეთმა გულგრილობამ ძალიან ააღელვა... აღაშფოთა... ლამის გააცოფა, მაგრამ თავის „კანტროლი“ მაინც არ დაკარგა, მას მტკიცედ სჯერა, რომ მთელი საქართველო ქუჩაში გამოვა და დაასრულებს ბიძინა ივანიშვილის რეჟიმს. ნოდარა მელაძის მიერ მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, რომელიც მოპოვებულია ელეონორა კილაძის ღრმა რწმენაზე დაყრდნობით, ბიძინა ივანიშვილი უკვე გაიქცა საქართველოდან, ყველაფერი მიყიდ-მოყიდა, გაასხვისა, გააჩუქა და ჰაიდა!

ყველა ნორმალურ ადამიანს ებადება შეკითხვა: რანაირად გაიქცა ბატონი ბიძინა, როცა აგერ, საარჩევნო უბანზე მეუღლესთან ერთად მივიდა და „კალაძე“ შემოხაზა? მეორე — თუ ბატონი ბიძინა საქართველოში აღარ არი, თუ მიშასი შეეშინდა და „გაიპარა“, მაშინ რატომღა უყენებს ნიკანორა უბედური მას ულტიმატუმებს?

ირინა სარიშვილმა, ლეღვის დამწვარ ჩირს რომ დამსგავსებია (არც ადრე იყო დედოფლური გარეგნობისა, მაგრამ ეხლა მთლად წავიდა ხელიდან), თავისი მათემატიკური ნიჭის წყალობით გვამცნო, რომ ორშაბათს, საღამოს 8 საათზე თავისუფლების მოედანზე 800 (რვაასი) ათასი გულანთებული პატრიოტი გამოვიდოდა. უკაცრავად, მაგრამ ჩემი ფეხები!

ბატონო ბიძინა, რამდენჯერ უნდა შეგახსენოთ, ორი ფსიქიატრიულის მშენებლობა როდის დაიწყება? ვიცი, ეგ საქმე სახელმწიფოს აბარია, მაგრამ ვატყობ, მაგ კუთხით ცოტა ზანტობენ. არა, მესმის, პანდემიაა, მსოფლიო კრიზისია, გაჭირვებაა, მაგრამ ესეც რომ საჭიროა, რა ვქნათ? რამე მოვიფიქროთ, თორემ უახლოეს ხანში ესენი ტატრაყუნები ირბენენ რუსთაველზე.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# სამყარო სამპოლუსიან განზომილებაში შედის

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით გლაზგოში გამართულ კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებულ 26-ე კონფერენციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ანალიტიკოსები. ექსპერტების ნაწილი დიდ ბრიტანეთში გასულ კვირას გამართულ კონფერენციას, გლობალური დათბობის შეჩერების ბოლო იმედად მიიჩნევდნენ. პოლიტიკურად ამბიციური გეგმები ჰქონდა გლაზგოს კონფერენციასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯო ბაიდენს. ანალიტიკოსების განცხადებით, ის იმიტომაც ჩავიდა შოტლანდიაში, რათა თავისი გეგმები განეხორციელებინა.

მოლოდინის მიუხედავად, გლაზგოში არ ჩავიდნენ რუსეთის, ჩინეთისა და ბრაზილიის ხელისუფლების პირველი პირები. ამ გარემოებამ საგრძნობლად შეამცირა კონფერენციის პოლიტიკური მნიშვნელობა. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ვიდეოჩანაწერით მიმართა კონფერენციის მონაწილეებს. ჩინეთის მმართველმა სი ძინპინმა გლაზგოში მხოლოდ მისალოცი წერილი გააგზავნა. პოლიტოლოგების განცხადებით, ბაიდენი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პუტინისა და სი ძინპინის გლაზგოში ჩასვლას. რომში, „დიდი ოცეულის“ სამიტზე არჩასვლის შემდეგ იმედოვნებდა, რომ ორი დიდი ქვეყნის მეთაური კლიმატურ კონფერენციაზე მაინც ჩავიდოდნენ. პოლიტოლოგები ირწმუნებიან, ბაიდენს რომში ან გლაზგოში პირადად მათთან სურდა შეხვედრა. განაწყენებულმა ბაიდენმა შორიდან უსაყვედურა პუტინს და სი ძინპინიის არჩასვლის გამო. აქედან გამომდინარე, მკვეთრი განცხადებაც გააკეთა გლაზგოში: „…ჩინეთმა და რუსეთმა არც უნდა იოცნებონ მსოფლიო ლიდერობაზე“. თუმცა კონფერენციაზე ბოლომდე დარჩა. ექსპერტების განცხადებით, წინასწარ რომ სცოდნოდა, რომ შოტლანდიაში არ ჩავიდოდნენ პუტინი და სი ძინპინი, თავადაც არ წავიდოდა კონფერენციაზე და შეიძლება, რომში „დიდი ოცეულის“ სამიტსაც არ დასწრებოდა. იმდენად აღარ აინტერესებდა კლიმატური პრობლემები, რომ სხდომებზე რამდენჯერმე ჩაყვინთა. კამერამ დააფიქსირა, თუ როგორ დელიკატურად გააღვიძა თანაშემწემ. საერთოდაც, ჩაყვინთვა-ჩათვლემა მისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. ზოგი ასაკს აბრალებს, ზოგიც დაძაბულ და ხანგრძლივ მუშაობას. თუმცა, ვინ იცის…

კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებულ კონფერენციაზე რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ მიუღიათ. ბრაზილიამ პირობა დადო, რომ შეამცირებს ამაზონის ჯუნგლებში ტყეების გაჩეხვას. პირობას ეჭვის თვალით უყურებენ ექსპერტები — ძვირფასი მერქანი ქვეყნის შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. ამიტომ უცნობია, რით აინაზღაურებენ დანაკლისს ბრაზილიელები. ცალკეულ განვითარებად ქვეყნებს მკაცრ პირობად წაუყენეს საწარმოებიდან გამონაბოლქვის მკვეთრად შემცირება. ულტიმატუმს არ ეთანხმებიან ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი… ანუ, ის სახელმწიფოები, სადაც განვითარებულია მძიმე მრეწველობა, განსაკუთრებით მეტალურგია. მიუხედავად ცალკეულ საკითხებში უთანხმოებისა, ყველა განვითარებულმა ქვეყანამ აიღო ვალდებულება, მიიღონ ზომები პლანეტაზე კლიმატის გასაჯანსაღებლად. ეკოლოგების გათვლებით, თუ ყველა ქვეყანა პირნათლად შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, დედამიწაზე ჰაერის ტემპერატურა მხოლოდ 1,9 გრადუსით გაიზრდება, ნაცვლად 3-ისა, რაც კარგი მაჩვენებელია.

საინტერესო მონაცემები გამოაქვეყნეს გლაზგოს კონფერენციის შემდეგ ეკოლოგებმა. მათი გაანგარიშებით, სამიტის მსვლელობისას 400-მდე კომერციული თუ სპეცრეისი განხორციელდა გლაზგოს აეროპორტიდან. ეკოლოგების გამოანგარიშებით, ამით 13 ათასი ტონა ნახშირორჟანგით თუ სხვა მავნე გამონაბოლქვით დაბინძურდა ქალაქი თავისი შემოგარენებით. არაფერს ამბობენ ავტომობილებზე. მხოლოდ ბაიდენის კორტეჟში 30-მდე ბენზინზე მომუშავე მანქანა იყო. საერთოდაც, პლანეტის გადარჩენა ეკოლოგიური გაჯანსაღებით უნდათ, მაგრამ ბირთვული იარაღის შემცირებაზე არავინ საუბრობს. ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ კლიმატის გაჯანსაღებაზე საუბარი მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებში ეკონომიკის შემცირებას ისახავს მიზნად, აქვე ერთიც სათქმელია — მწვანე ენერგეტიკამ (ქარის, მზის) ვერ გაამართლა მოლოდინი, რაზეც უკვე ღიად საუბრობენ დარგის სპეციალისტები. ამიტომაც, ქვეყნებმა, რომლებმაც უარი თქვეს ქვანახშირის მოპოვებაზე, დაიწყეს განახლება. სპეციალისტები შეცდომად თვლიან ატომური ენერგიის უარყოფასაც, რასაც ისინი სუფთა ენერგიად მიიჩნევენ. ექსპერტების შეფასებით, გლაზგოს კონფერენცია უშედეგოდ დასრულდა. „კონფერენცია კონფერენციისთვის ჩატარდაო“,— აცხადებენ.

მსოფლიოში პოლიტიკური სიტუაცია დაძაბული და გაურკვეველი რჩება. სამწუხაროდ, ჩნდება ახალი ცხელი წერტილები. ალჟირსა და მაროკოს შორის უკიდურესად დაიძაბა ურთიერთობა. პოლიტოლოგებს უჭირთ პროგნოზირება, მოხდება თუ არა შეიარაღებული დაპირისპირება ორ ქვეყანას შორის. ექსპერტების შეფასებით, ომის შემთხვევაში ალჟირიდან ევროპაში შეწყდება გაზის მიწოდება, რადგან მაროკოზე გადის ტრანზიტული მილსადენი. მათივე განცხადებით, გაიზრდება იარაღის გაყიდვის რაოდენობა, მაგრამ ასევე გაზის ფასი იმდენად მოიმატებს, დღევანდელი (1000 კუბ/მ-ზე 960 აშშ დოლარია) საშობაო ფასდაკლებად მოგვეჩვენებაო. როგორ განვითარდება მოვლენები აფრიკის ჩრდილოეთ რეგიონში, გაურკვეველია.

უპილოტო საფრენი აპარატით განხორციელდა შეტევა გასულ შაბათს ერაყის პრემიერ-მინისტრ მუსტაფა ალ-კაზიმიზე. თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ ის საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ პრემიერმა მალევე ტელევიზიით მიმართა მოსახლეობას და აუწყა, რომ უვნებელი იყო. პრემიერის განცხადებით, უკვე იცის, ვინ განახორციელა მასზე შეტევა, რომლებსაც მალე დააპატიმრებენ. მისი თქმით, თავდასხმაში პროირანული ძალები მონაწილეობდნენ. ანალოგიური შეტევა უპილოტო თვითმფრინავის საშუალებით 3 წლის წინ ვენესუელის პრეზიდენტ ნიკოლას მადუროზეც განხორციელდა, ასევე უშედეგოდ.

„ახლანდელი პოლიტიკური კრიზისი აშშ-სა და რუსეთს შორის ცივ ომზე სახიფათოა“, — აცხადებენ პოლიტოლოგები. ოფიციალური ინფორმაციით, ორივე ქვეყნის დიპლომატები აწარმოებენ მოსამზადებელ სამუშაოებს პრეზიდენტების პირისპირ შესახვედრად. ამის მიუხედავად, ამერიკელი პოლიტიკოსები თავიანთი ქვეყნის მთავარ მტრებად რუსეთსა და ჩინეთს ასახელებენ. რესპუბლიკელი სენატორები დამატებით სამხედრო ძალების გაგზავნას ითხოვენ შავი და ბალტიის ზღვების აკვატორიებში. მიუხედაბად ასეთი დაძაბული ურთიერთობისა, ორივე ქვეყნის მთავრობების წარმომადგენლები ერთმანეთთან კავშირს არ წყვეტენ. ორი კვირის წინ რუსეთის დედაქალაქში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ვიქტორია ნულანდი, რომელმაც 3 დღეში რამდენიმე ოფიციალური შეხვედრა გამართა და მოსკოვი კმაყოფილმა დატოვა.

გასულ კვირას მოსკოვში ჩავიდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი უილიამს ბიორნსი. ის შეხვდა რუსეთის უსაფრთხოების საბჭოს მდივანს ნიკოლაი პატრუშევს და საგარეო დაზვერვის სამსახურის დირექტორს სერგეი ნარიშკინს. ოფიციალური ინფორმაციით, განიხილეს უკრაინის საკითხი. ექსპერტების შეფასებით, ნაკლებად სავარაუდოა, ბიორნსი მხოლოდ უკრაინაზე სასაუბროდ ჩასულიყო მოსკოვში. ვარაუდობენ, რომ სპეცსამსახურების მაღალჩინოსნებმა განიხილეს ბაიდენი-პუტინის მოსალოდნელი პირისპირ შეხვედრის დეტალები. თუმცა პროფესიონალი მზვერავებისგან რა სიმართლეს გაიგებს ადამიანი. უკრაინასთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა ბრიტანულმა გამოცემა „დეილი მეილმა“ — გლაზგოში კლიმატის კონფერენციის მსვლელობისას ჯო ბაიდენს პირდაპირ შეეკითხა უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი: „რა მოვუხერხოთ რუსეთის აგრესიას?“ რაზეც ზოგადი, სტანდარტული პასუხი მიიღო ბაიდენისგან: „აშშ აღიარებს უკრაინის სუვერენიტეტს“. მეტი არაფერი. ამიტომაც აღარ ესწრებოდა ზელენსკი კონფერენციის სხდომებსო, იუწყება გამოცემა.

გაურკვევლობაა აშშ-ის შინაურ პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. ვირჯინიის შტატში გუბერნატორის არჩევნებში გაიმარჯვა რესპუბლიკელმა გლენ იანკინმა. აღსანიშნავია, რომ 2009 წლიდან მოყოლებული, შტატში დემოკრატები დომინირებდნენ. მოქმედი პრეზიდენტის რეიტინგი კი აშშ-ის პრესის მონაცემებით, 38%-ს ჩამოსცდა.

საინტერესო განცხადება გააკეთა გასულ კვირას აშშ-ის ჯარების გაერთიანებული შტაბების უფროსმა გენერალმა მარკ მილიმ: „… ჩვენ (სამყარო) შევდივართ სამპოლუსიან განზომილებაში, სადაც დომინირებენ აშშ, ჩინეთი და რუსეთი. თუმცა მსგავსი დაპირისპირება ჩვენს ქვეყნებს შორის 40, 50 წლის წინათაც არ ყოფილა… ჩვენ შეგვწევს ძალა, ვიმოქმედოთ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, თუნდაც ტაივანში, მაგრამ ეს პოლიტიკური საკითხია, რაც პრეზიდენტმა უნდა გადაწყვიტოს, — განაცხადა მილიმ.

სამ დღეს ეთათბირებოდა პუტინი თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებს, განსაკუთრებული დავალება მისცა თავდაცვის მინისტრს სერგეი შოიგუს, გააძლიეროს საზღვრების დაცვა, განსაკუთრებით შავი და ბალტიის ზღვების აკვატორიებში, მზადყოფნაში მოიყვანონ სამხედრო-საჰაერო ძალების ყველა შენაერთი. რის მომასწავებელია ეს, ექსპერტებს უჭირთ შეფასება.









**გია ბურდული**
551 71 27 07

# როგორ დაამარცხა ჩინეთმა კოვიდ-19 და რას მალავს ქვეყნის ხელისუფლება?

ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა 37 ქვეყნის მონაცემები შეისწავლეს და **BMJ**-ში გამაოგნებელი დასკვნა გამოაქვეყნეს, რომლის თანახმად, კაცობრიობამ კოროვირუსის პანდემიის გამო სულ მცირე, 28 მილიონი წლის სიცოცხლე დაკარგა იმ ადამიანების სახით, რომლებსაც შეეძლოთ წლების ან ათწლეულების მანძილზე ეცხოვრათ.

„ცხოვრებაში არაფერი მინახავს ისეთი გამაოგნებელი, როგორც ეს პანდემიაა. რაღაც დროით შეჩერება მოგვიწია, რომ ყველაფერი გაგვეაზრებინა“ – განაცხადა კვლევის ხელმძღვანელმა, დოქტორმა ნაზრულ ისლამმა.

პანდემიის დაწყების შემდეგ სიცოცხლის დაკარგული წლების გამოსათვლელად, ექსპერტებმა 2020 წელს გარდაცვლილთა რაოდენობა და ასაკი დაადგინეს. როგორც გაირკვა, მათ შორის ბევრი ახალგაზრდაა, რომელსაც წინ ხანგრძლივი ცხოვრება ელოდა. იმის დასადგენად, რამდენი წელი იცოცხლებდა ადამიანი ინფიცირება რომ არა, მეცნიერებმა გარდაცვლილთა ასაკი თითოეულ ქვეყანაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას შეადარეს.

შედეგების თანახმად, **COVID-19** პანდემიის გამო, კაცობრიობამ სიცოცხლის 28 მილიონზე მეტი წელი დაკარგა, რაც 5-ჯერ მეტია, ვიდრე 2015 წლის სეზონური გრიპის ეპიდემიის გამო დაკარგული წლების რაოდენობა.

აღსანიშნავია, რომ სიცოცხლის დაკარგული წლების რაოდენობა თითქმის ყველა ქვეყანაში მოსალოდნელზე მაღალი იყო ტაივანისა და ახალი ზელანდიის გარდა. ამ ორ ქვეყანაში სიკვდილიანობის მაჩვენებელი გაზრდის ნაცვლად, შემცირდა. ისლანდიაში, დანიაში, ნორვეგიასა და სამხრეთ კორეაში გარდაცვალების მაჩვენებელი იგივე დარჩა, რაც პანდემიის დაწყებამდე იყო, რაც ნიშნავს, რომ კვლევაში მონაწილე 37 ქვეყნიდან 31-ში 28 მილიონი სიცოცხლის წელი დაიკარგა.

დადგენილია, რომ მსოფლიოში პანდემიის დაწყების დროიდან კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობამ 249 მილიონს გადააჭარბა. ვირუსს მსოფლიოში 5 მილიონზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია მოსახლეობას ახალი საშიშო ვირუსების გაჩენის შესახებ აფრთხილებს და მსოფლიო საზოგადოებას მოუწოდებს ახალი პანდემიისთვის მოემზადოს. ვარაუდობენ, რომ საუბარია ვირუსის ახალი, გაცილებით საშიში და აგრესიული შტამის გამოჩენაზე. მედიკოსები აღნიშნავენ, რომ აუცილებელია შტამის დროული იდენტიფიცირება, რომ მწარმოებლებმა ვაქცინის ახალ ინფექციასთან ადაპტირება შეძლონ.

ამჟამად ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ყურადღებით აკვირდება დელტა შტამის ერთ-ერთ ვარიანტს რომ დაადგინოს თავდაპირველ შტამზე უფრო გადამდებია თუ არა. ეჭვის საფუძველს ის იძლევა, რომ ვაქცინაციის მიუხედავად, მსოფლიოში **COVID-19** შემთხვევების რაოდენობა ისევ იზრდება.

საგანგაშო სტატისტიკა, კოვიდ-19-ის ახალი შტამების გავრცელება და ინტენსიური თერაპიის გადატვირთული განყოფილებები ევროპაში ინფექციების ახალ ტალღაზე მიუთითებს. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ეს შესაძლოა კორონავირუსის ახალი შტამის გავრცელებით იყოს გამოწვეული. მიმდინარე წლის მარტიდან დიდ ბრიტანეთში ვირუსით გარდაცვალების ახალი ანტირეკორდი დაფიქსირდა.

აცრების დაბალი დონის ფონზე, ინფიცირების შემთხვევები რუსეთშიც იზრდება. ევრონიუსის ინფორმაციით, მოსკოვში კორონავირუსის შემთხვევების რაოდენობა აგვისტოსთან შედარებით ოთხჯერ მაღალია.

სანამ მსოფლიო კორონავირუსის ახალ შტამებს ებრძვის, ჩინეთი, საიდანაც ყველაფერი დაიწყო, ვირუსზე გამარჯვებას ზეიმობს. ახლა ეს ქვეყანა **COVID-19**-ის მხრივ დედამიწაზე ყველაზე უსაფრთხო ადგილად ითვლება. 19 ოქტომბერს გავრცელდა ინფორმაცია, რომ პეკინში ვირუსის ერთი შემთხვევის გამო საკარანტინო ზომები ამოქმედდა. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვირუსთან ბრძოლის საფარქვეშ ჩინეთის მოსახლეობაზე ტოტალური კონტროლი ხორციელდება. ჩინეთი კი ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ ელექტრონული თვალთვალი ხელისუფლებას კორონავირუსთან ბრძოლაში დაეხმარა.





ჩინეთში ინფიცირებულთა შესახებ ინფორმაცია საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომია და ხელისუფლებას სულაც არ ანაღვლებს არის თუ არა ეს ადამიანის უფლებების დარღვევა. არსებობს დომენი, სადაც თითოეული ინფიცირებული სახელი და გვარი, ასაკი და მისამართი წერია. მითითებულია მისი მოძრაობის მთელი მარშრუტი, მატარებლის ვაგონის თუ ავტობუსის ნომრის დასახელებაც კი, რომ მასთან კონტაქტში მყოფი პირები დაადგინონ. დადგენილია ყველა მაღაზია, სადაც ინფიცირებული პირი შევიდა, ყველა მეზობელი, რომელსაც ის დაუკავშირდა და ყველა მათგანზე მეთვალყურეობა წესდება.

თუ რომელიმე საწარმოში ან ოფისში ინფიცირებული ადამიანი გამოვლინდა, მისი ყველა კოლეგა ავტომატურად იზოლაციაში გადადის.

როგორ ხორციელდება ადამიანზე ელექტრონული თვალთვალი?



ინფიცირებული ადამიანის მოძრაობის მარშრუტის დასადგენად ამოწმებენ მობილური ტელეფონისა და ელექტრონული საფულეს მონაცემებს. დაწესებულებების შესასვლელებთან დამონტაჟებულია სპეციალური სარეგისტრაციო კოდი, ამიტომ იქ მისულთა დადგენა მარტივია. გარდა ამისა, ადამიანები თავადაც საუბრობენ თავიანთ კონტაქტებზე.

საქმე ისაა, რომ ჩინეთის მოქალაქეს ინფორმაციის დამალვის გამო პასუხისმგებლობა ეკისრება, მათ შორის, სისხლის სამართლის კოდექსითაც.

ჩინეთში მაცხოვრებელ თითოეულ ადამიანს აქვს საკუთარი „ჯანმრთელობის კოდი“ (**QR** კოდი ტელეფონში) და ერთიანი სამგზავრო ბარათი, რომელიც მობილური ოპერატორების მონაცემებთან არის დაკავშირებული. კოდიც და ბარათიც ფერს სიტუაციიდან გამომდინარე იცვლის. ჩინელების გადაადგილება მობილური ტელეფონების **SIM** ბარათებითაც კონტროლდება. არსებობს სპეციალური აპლიკაცია, რომელიც ასახავს სად მოძრაობდა ადამიანი ბოლო 14 დღის განმავლობაში.

საცხოვრებელ კორპუსში ინფიცირების ერთი შემთხვევის გამო მთელი სახლი და ზოგჯერ მიკრორაიონი (10 000-დან 20 000-მდე ადამიანი) კარანტინში გადადის. სახიფათო ტერიტორიას სპეციალური ლენტით საზღვრავენ და დაცვას უყენებენ. კარანტინში მყოფებს რეგულარულად უტარებენ უფასო ტესტებს. ბოლო ავადმყოფის აღმოჩენიდან 14 დღის შემდეგ მიკრორაიონი იხსნება.



საკარანტინო ზონაში მყოფ ადამიანს მისი დატოვება ეკრძალება. ზოგ შემთხვევაში აკრძალულია საკარანტინო ზონაში გადაადგილებაც – ამის შესახებ გადაწყვეტილებას ადგილობრივი ხელისუფლება იღებს. გარდა ამისა, კარანტინში გადაჰყავთ ადამიანები, რომლებიც ინფიცირებულთა მარშრუტში მოძრაობდნენ.

თუ ჯანმრთელი ადამიანი იმ ადგილზე მოხვდა, სადაც ცოტა ხნის წინ ინფიცირებული ადამიანი მოძრაობდა, მისი ჯანმრთელობის კოდი ფერს იცვლის და მწვანედან ყვითლად გარდაიქმნება. ყვითელი კოდის მქონე პირს სასწრაფოდ, ახლომდებარე საავადმყოფოში ტესტის გაკეთება უწევს, რადგან საზოგადოებრივ ტრანსპორტში და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოხვედრა ეზღუდება. ინფიცირებულ ადამიანთან კონტაქტის შემდეგ კი „ჯანმრთელობის კოდი“ წითელი ფერის ხდება და პირი კარანტინში გადაჰყავთ.

სიცხის დამწევი მედიკამენტების შეძენაზე მთავრობამ დიდი ხანია შეზღუდვები დააწესა – მათი შეძენა აფთიაქში ელექტრონული პასპორტის წარმოდგენის გარეშე შეუძლებელია. წამლების შეძენის შემდეგ მეორე დღეს აუცილებლად დაგირეკავენ, მოვლენ და გკითხავენ, როგორია თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა.

სასჯელის ეშინიათ თუ პასუხისმგებლობის გრძნობა აქვთ, უცნობია, მაგრამ ჩინელები არ ცდილობენ სისტემის მოტყუებას. მოტყუების ისტორიები ანუ მობილური ტელეფონის გამორთვა და **SIM** ბარათთან დაკავშირებული მანიპულაციები ძირითადად, უცხოელებს ახასიათებთ. თუმცა თუ ინფორმაციის დამალვის ფაქტი გაირკვევა, შესაძლოა, ადამიანს სერიოზული სასჯელი დაემუქროს.

ამბობენ, რომ ჩინეთის მკაცრი საპანდემიო ღონისძიებებით უკმაყოფილო ადამიანებმა ქვეყანა 2020 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე დატოვეს. დარჩენილებს კი ურჩევნიათ საჭიროების შემთხვევაში, 2–3 კვირა კარანტინში იყვნენ და ვირუსს გავრცელების საშუალება მოუსპონ. არავის სურს მკაცრი ლოქდაუნის შემოღება, რომელიც 2020 წლის ზამთარში მოქმედებდა. მაგალითად, როდესაც ხარბინში 1 ინფიცირებული პირი გამოვლინდა, მთელი მიკრორაიონი დაიხურა. ადგილობრივები სახლში დარჩნენ, მაგრამ ქვეყნის დანარჩენ ნაწილს შეეძლო მშვიდად ემუშავა, დაესვენა და გასართობ დაწესებულებებში წასულიყო.

რამდენიმე დღის წინ ჩინეთში ინფიცირების 93 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა. ქვეყნის ხელისუფლება პანდემიის გამო დაწესებული მკაცრი შეზღუდვების შემსუბუქებას უახლოეს მომავალში არ გეგმავს.

მოამზადა
**ნელი თორდიაშ**
571 35 36 88

# „საერთო გაზეთის" იურიდიული კონსულტაცია



**„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კევლიშვილი. ტელ.: 593 78 64 69**

* * *

**— ვინ ითვლება მრავალშვილიან მშობლად?**

— თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $1191^2$-ე მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

**მუხლი $1191^2$. მრავალშვილიანი მშობელი**

1. მრავალშვილიანი მშობელი არის პირი, რომელსაც ჰყავს ოთხი ან მეტი შვილი ან/და ნაშვილები.

2. იმ მრავალშვილიანი მშობლის სოციალური დაცვის უზრუნველყოფის წესი და პირობები, რომელსაც ჰყავს ოთხი ან მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი ან/და ნაშვილები, განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

3. მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის დადგენისა და გაუქმების და შესაბამის პირთა შესახებ მონაცემების წარმოების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

* * *

**— რომელი ბავშვი ექვემდებარება შვილად აყვანას?**

— თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1254-ე და 1255-ე მუხლები, რომელთა შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

**— მუხლი 1254. შვილად აყვანას დაქვემდებარებული ბავშვი**

ბავშვი შვილად აყვანას ექვემდებარება, თუ:

ა) მისი მშობელი (მშობლები) სასამართლომ უგზო- უკვლოდ დაკარგულად აღიარა;

ბ) მას არ ჰყავს არც ერთი მშობელი;

გ) იგი აღიარებული იქნა მიტოვებულ ბავშვად;

დ) მის მშობელს (მშობლებს) ჩამოერთვა (ჩამოერთვათ) მშობლის უფლება;

ე) ყველა მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა თანხმობა განაცხადა მის გაშვილებაზე დადგენილი წესით.

**მუხლი 1255. ბავშვის თანხმობა გაშვილებაზე**

1. 10 წლამდე ბავშვის გაშვილებისას, მისი სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით, მხედველობაში მიიღება მისი სურვილი.

2. 10 წლის ან 10 წელზე მეტი ასაკის ბავშვის შვილად აყვანა მისი თანხმობის გარეშე დაუშვებელია.

3. გაშვილებაზე ბავშვის თანხმობა შვილად აყვანის საქმეზე გამართულ სასამართლო სხდომაზე მისი მოსმენის შედეგად ირკვევა.

4. თუ შვილად აყვანის შესახებ განცხადების წარდგენამდე ბავშვი მშვილებლის ოჯახში ცხოვრობდა და მშვილებელს თავის მშობლად მიიჩნევდა, შვილად აყვანა, გამონაკლისის სახით, შეიძლება გაშვილებაზე შვილად ასაყვანის თანხმობის გარეშე.

* * *

**— მაინტერესებს სამეზობლო სამართლის თემა.**

— თქვენთვის საინტერესო საკითხს მოიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე- 2 თავი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

**თავი მეორე**

**სამეზობლო სამართალი**

**მუხლი 174. ცნება. ურთიერთპატივისცემის მოვალეობა**

მეზობელი მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრენი, გარდა კანონით გათვალისწინებული უფლება- მოვალეობებისა, ვალდებულნი არიან პატივი სცენ ერთმანეთს. მეზობლად მიიჩნევა ყველა ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება, საიდანაც შესაძლებელია გამომდინარეობდეს ორმხრივი ზემოქმედება.

**მუხლი 175. სამეზობლო ზემოქმედებათა თმენის ვალდებულება**

1. მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრეს არ შეუძლია აკრძალოს მეზობელი ნაკვეთიდან თავის ნაკვეთზე გაზის, ორთქლის, სუნის, ჭვარტლის, კვამლის, ხმაურის, სითბოს, რყევების ან სხვა მსგავს მოვლენათა ზემოქმედებანი, თუკი ისინი ხელს არ უშლიან მესაკუთრეს თავისი ნაკვეთით სარგებლობაში, ან უმნიშვნელოდ ხელყოფენ მის უფლებას.

2. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა ზემოქმედება არსებითია, მაგრამ იგი გამოწვეულია სხვა ნაკვეთით ან სხვა უძრავი ქონებით ჩვეულებრივი სარგებლობით და არ შეიძლება მისი აღკვეთა ისეთი ღონისძიებებით, რომლებიც ამ სახის მოსარგებლეთათვის ნორმალურ სამეურნეო საქმიანობად მიიჩნევა.



3. თუ მესაკუთრე მოვალეა ითმინოს ასეთი ზემოქმედება, მას შეუძლია ზემოქმედების გამომწვევი ნაკვეთის მესაკუთრეს მოსთხოვოს შესაბამისი ფულადი კომპენსაცია იმ შემთხვევაში, როცა ზემოქმედება აღემატება მოცემულ ადგილას ჩვეულებრივად მიჩნეულ სარგებლობას და ეკონომიკურად დასაშვებ ფარგლებს.

**მუხლი 176. დაუშვებელი ხელყოფა**

მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მეზობელ ნაკვეთებზე ისეთი ნაგებობების აშენების ან ექსპლუატაციის აკრძალვა, რომლებიც დაუშვებლად ხელყოფენ ნაკვეთით სარგებლობის უფლებას და ეს იმთავითვე აშკარაა.

**მუხლი 177. საფრთხის აღკვეთის მოთხოვნა**

თუ მიწის ნაკვეთს მეზობელი ნაკვეთიდან შენობის ჩამოქცევის საფრთხე ემუქრება, მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს აუცილებელ ღონისძიებათა გატარება ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად. დაუშვებელია რამდენიმე მიწის ნაკვეთზე გამდინარე წყლებისა და მიწისქვეშა წყლების მიმართულების შეცვლა ან ამ წყლებით მანიპულირება ისე, რომ ამან სხვა მიწის ნაკვეთზე წყლის რაოდენობის შემცირება ან/და ხარისხის გაუარესება გამოიწვიოს; დაუშვებელია მდინარეთა ბუნებრივი დინების ხელყოფა.

**მუხლი 178. მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრის უფლება ნაყოფზე**

1. თუ ხის ან ბუჩქის ნაყოფი მეზობელ მიწის ნაკვეთზე დავარდა, იგი ჩაითვლება ამ ნაკვეთის ნაყოფად.

2. მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოჭრას იმ ხის ან ბუჩქის ფესვები, ტოტები, რომლებიც მის ნაკვეთზე გადავიდა.

**მუხლი 179. ფულადი კომპენსაცია თმენის ვალდებულებისათვის**

1. თუ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე მშენებლობის დროს განზრახვის გარეშე გადასცდა მეზობელი ნაკვეთის საზღვრებს, მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრემ ეს უნდა ითმინოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამის წინააღმდეგ წინასწარ ან შეტყობისთანავე განაცხადა.

2. საზღვრის დამრღვევი მეზობელი ვალდებულია გადაიხადოს ფულადი კომპენსაცია, რომელიც ყოველწლიურად წინასწარ უნდა იქნეს გადახდილი.

**მუხლი 180. აუცილებელი გზა**

1. თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო-, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად. იმ მეზობლებს, რომელთა ნაკვეთზედაც გადის აუცილებელი გზა ან გაყვანილობა, უნდა მიეცეთ შესაბამისი კომპენსაცია, რომელიც, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება ერთჯერადი გადახდით გამოიხატოს.

2. აუცილებელი გზის ან გაყვანილობის თმენის ვალდებულება არ წარმოიშობა, თუკი უკვე არსებული დაკავშირება მიწის ნაკვეთისა გაუქმდა მესაკუთრის თვითნებური მოქმედებით.

**მუხლი 181. სასაზღვრო მიჯნის აღმართვის მოვალეობა**

1. მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეს მოსთხოვოს მონაწილეობის მიღება მყარი სასაზღვრო მიჯნის აღმართვაში, ან უკვე არსებული, მაგრამ წაშლილი ან დაზიანებული მიჯნის აღდგენაში. გამიჯვნის ხარჯები მეზობლებს შორის თანაბრად ნაწილდება, თუ ურთიერთშეთანხმებით ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. თუ შეუძლებელია ზუსტი საზღვრის დადგენა, მაშინ გასამიჯნავად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეზობლების ფაქტობრივ მფლობელობას. თუ შეუძლებელია ფაქტობრივი მფლობელობის ზუსტი დადგენა, მაშინ სადავო ნაკვეთი თანაბრად განაწილდება ნაკვეთებს შორის. თუკი ეს განაწილება იწვევს უსამართლო შედეგებს, მაშინ ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე საზღვარს დაადგენს სასამართლო.

**მუხლი 182. სასაზღვრო ნაგებობით სარგებლობის უფლება**

1. თუ მიწის ორი ნაკვეთი ერთმანეთისაგან გამიჯნულია ღობით ან საზღვრად გამოყენებული სხვა ნაგებობით, ივარაუდება, რომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს აქვთ თანაბარი უფლება ისარგებლონ ამ ნაგებობით, თუკი ნაგებობის გარეგნული მხარე პირდაპირ არ მიუთითებს, რომ იგი მხოლოდ ერთ-ერთი მეზობლის საკუთრებაა.

2. თუ ორივე მეზობელი უფლებამოსილია ერთობლივად ისარგებლოს საზღვრად გამოყენებული ნაგებობით, თითოეულ მათგანს შეუძლია ნაგებობა მხოლოდ ისე გამოიყენოს, რომ ამით ხელი არ შეუშალოს მეორე მეზობელს თანასარგებლობაში.

3. ნაგებობის მოვლისა და შენახვის ხარჯები მეზობლებს შორის თანაბრად ნაწილდება.

4. ვიდრე ერთ-ერთი მეზობელი დაინტერესებულია ამ სასაზღვრო ნაგებობის არსებობით, დაუშვებელია მისი აღება ან შეცვლა მეზობლის თანხმობის გარეშე.

* * *

**— მაინტერესებს. როგორ გამოითვლება ვადები სამოქალაქო სამართალში?**

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე- 4 კარის 1- ლი თავი ითვალისწინებს ვადების გამოთვლის წესს, რომელსაც წარმოგიდგენთ სრულად.

**მუხლი 121. ვადების გამოთვლის წესების გამოყენების სფერო**

კანონებში, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და გარიგებებში მითითებული ვადების მიმართ გამოიყენება ამ თავში გათვალისწინებული წესები.

**მუხლი 122. ვადის დასაწყისის აღმნიშვნელი დრო**

თუ ვადის დასაწყისად აღებულია ესა თუ ის მოვლენა ან დღის რომელიმე მონაკვეთი, მაშინ ვადის გამოთვლისას არ მიეთვლება ის დღე, რომელშიც დგება ეს მოვლენა ან დღის ზემოაღნიშნული დრო.

**მუხლი 123. ვადის დამთავრება**

1. დღეების მიხედვით განსაზღვრული ვადა მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად.

2. ვადა, რომელიც განსაზღვრულია კვირების, თვეების ან რამდენიმე თვის შემცველი დროით — წლით, ნახევარი წლით, კვარტალით, — მთავრდება ბოლო კვირის ან ბოლო თვის იმ დღის დამთავრებისთანავე, რომელიც შეესაბამება მოვლენის დადგომის დღეს ან დღის ზემოაღნიშნულ დროს.

3. თუ თვეების მიხედვით განსაზღვრულ ვადას აკლია ვადის გასვლის აღსანიშნავი კონკრეტული დღე, მაშინ ვადა მთავრდება ამ თვის ბოლო დღის დამთავრებისას.

**მუხლი 124. ცნებები**

1. ნახევარი წელი ნიშნავს ექვსთვიან ვადას, კვარტალი — სამთვიან ვადას, რომელიც აითვლება წლის დასაწყისიდან, ხოლო ნახევარი თვე — თხუთმეტდღიან ვადას.

2. თუ ვადა შედგება ერთი ან რამდენიმე მთლიანი და ნახევარი თვისაგან, ბოლოს უნდა გამოითვალოს თხუთმეტი დღე.

**მუხლი 125. ვადის გამოთვლა ვადის გაგრძელებისას**

ვადის გაგრძელების შემთხვევაში ახალი ვადა გამოითვლება გასული ვადის დამთავრებიდან.

**მუხლი 126. ვადის გამოთვლა თვეების მიხედვით**

1. თუ დრო განსაზღვრულია თვეების ან წლების მიხედვით იმგვარად, რომ არ არის საჭირო მათი ერთად გასვლა, მაშინ თვე გამოითვლება ოცდაათი დღით, ხოლო წელი — სამას სამოცდახუთით.

2. თვის დასაწყისად ითვლება თვის პირველი დღე, შუა თვედ — თვის მეთხუთმეტე დღე, ხოლო თვის დასასრულად — თვის ბოლო დღე.

**მუხლი 127. გამოსასვლელი და სადღესასწაულო დღეები**

თუ მოქმედება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ან ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს ან მოქმედების შესრულების ადგილას გამოცხადებულ სადღესასწაულო ანდა სხვა გამოსასვლელ დღეებს, მაშინ ამ დღის ნაცვლად გამოყენებულ უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღე.

# პრეზიდენტები და პრემიერები, რომლებიც მართლმსაჯულებას ვერ გაექცნენ

საფრანგეთის ექს-პრეზიდენტს **ნიკოლა სარკოზის** ერთი წლით პატიმრობა მიესაჯა საარჩევნო კამპანიის არაკანონიერი დაფინანსებისთვის 2012 წლის არჩევნების დროს.

ამჯერად საფრანგეთის ექსპრეზიდენტი თავისი წინასაარჩევნო კამპანიის არალეგალურ დაფინანსებაში დაადანაშაულეს. ვერდიქტი ჯერ კიდევ 2021 წლის გაზაფხულზე გამოიტანეს, მაგრამ მისი ციხეში ჩასმა სწორედ ახლა გადაწყდა.

2011 წლის დეკემბერში პარიზის სასამართლომ ექს-პრეზიდენტ **ჟაკ შირაკს** ორი წლით პირობითი სასჯელი შეუფარდა პარიზის მერად მუშაობის პერიოდში სამუშაო ადგილების ხელოვნურად შექმნის გამო.


სილვიო ბერლუსკონი

იტალიის პემიერ-მინისტრი **სილვიო ბერლუსკონი** პოლიტიკური კარიერის განმავლობაში არაერთხელ დაადანაშაულეს კანონის დარღვევაში — მაფიასთან კავშირით დაწყებული, არასრულწლოვანი დაბალი სოციალური პასუხისმგებლობის გოგონების მომსახურებით დამთავრებული. 2012 წლის შემოდგომაზე ის დამნაშავედ ცნეს დიდი ოდენობით გადასახადების დაფარვაში და ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

სერბეთისა და იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტი **სლობოდან მილოშევიჩი** საერთაშორისო ტრიბუნალმა გაასამართლა და ციხის კამერაში 2006 წლის მარტში, ჰააგაში გარდაიცვალა.

პანამის დიქტატორს **მანუელ ნორიეგას** 1992 წელს 40 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა გამომძალველობის, ფულის გათეთრებისა და ნარკოტიკებით ვაჭრობის ბრალდების გამო. 1999 წელს პატიმრობა 30 წლამდე შეუმცირეს.

2003 წლის დეკემბერში 20 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს ნიკარაგუას პრეზიდენტს **არნოლდო ალემანს,** რომელსაც ბრალი წაუყენეს ფულის გათეთრებაში, თაღლითობაში, სახელმწიფო თანხების (100 მლნ დოლარი) მიტაცებასა და წინასაარჩევნო ფინანსური მაქინაციებში მონაწილეობის გამო.

ფილიპინების პრეზიდენტი, ყოფილი მსახიობი და პოპულისტური მოძრაობის ლიდერი **ჯოზეფ ესტრადა** ქვეყანას 1998–2001 წლებში მართავდა. 2000 წლის შემოდგომაზე მასთან დაახლოებულმა ჩინოვნიკებმა განაცხადეს, რომ ესტრადა მათგან მრავალმილიონიან ქრთამებს ითხოვდა უკანონო აზარტული თამაშების მფარველობისთვის. ესტრადა ნებაყოფლობით გადადგა. რამდენიმე თვის შემდეგ ახალმა მთავრობამ საქმე აღძრა მის წინააღმდეგ. მას ბრალდებად წაუყენეს დიდძალი თანხების მიტაცება და სამუდამო პატიმრობა მიესაჯა, 2007 წელს კი შეიწყალეს.

რუანდის პრეზიდენტს **პასტერ ბიზიმუნგუს** 2004 წელს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს სახელმწიფო სახსრების გაფლანგვის, ძალადობის გაღვივებისა და დამნაშავეებთან თანამშრომლობის გამო.

პერუს პრეზიდენტს **ალბერტო ფუხიმორის** 2007 წლის 11 დეკემბერს 6 წელი ციხე მიესაჯა, 2009 წლის აპრილში — 25 წელი „სიკვდილის ესკადრონის“ შექმნისთვის, 2000 წლის არჩევნების დროს. მის მიერ გაფლანგული სახელმწიფო თანხები 2 მლრდ დოლარს აჭარბებდა.


ალბერტო ფუხიმორი

2011 წელს 7 წლით პატიმრობა მიესაჯა ისრაელის პრეზიდენტს **მოშე კაცავს** უღირსი ქცევის, სექსუალური ძალადობისა, ქვეშევრდომის გაუპატიურებისა და სამართლის აღსრულებაში ხელის შეშლის გამო.

2011 წელსლიბერიის პრეზიდენტს **ჩარლზ ტეილორს** 50 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა საერთაშორისო სასამართლომ სიერა-ლიონეს მშვიდობიანი მოსახლეობის მკვლელობაში, წამებაში და მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულებისთვის.

2013 წელს ეგვიპტეში დაიწყო გამოსვლები პრეზიდენტ **მოჰამედ მურსის** წინააღმდეგ. სასიკვდილო განაჩენი სამუდამო პატიმრობით შეუცვალეს. ის 2019 წელს გარდაიცვალა სასამართლო მოსმენების დროს.

ციხეში მოხვდა მისი წინამორბედი **ჰოსნი მუბარაკიც,** რომელიც „არაბული გაზაფხულის“ შედეგად ჩამოაგდეს. მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს დემონსტრანტებისთვის ცეცხლის გახსნის ბრძანების გამო, მერე განაჩენი კორუფციის ბრალდებით შეუცვალეს. 2015 წელს გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანეს, მაგრამ ციხეში გატარებული წლები ჩაუთვალეს და გამოუშვეს.

2016 წლის მარტის დასაწყისში დააკავეს ბრაზილიის პრეზიდენტი **ლუის ინასიუ ლულო და სილვა.** მას ბრალად წაუყენეს ფულის გათეთრება და ცრუ ჩვენებების მიცემა.


ნიკოლა სარკოზი

2017 წლის 12 ივლისს ლულო და სილვას კორუფციისა და ფულის გათეთრების გამო 9,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. 2018 წლის იანვრის ბოლოს კი ფედერალურმა რეგიონულმა სასამართლომ განაჩენი 12 წლამდე გაუზარდა.

2018 წლის აპრილში 24 წლით პატიმრობა მიესაჯა სამხრეთ კორეის პრეზიდენტს **პაკ კინ ხეს.** მას ბრალად წაუყენეს კორუფცია, სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. გარდა ამისა, მასვე დაეკისრა ჯარიმის გადახდა 17,5 მლნ დოლარის ოდენობით.


რობერტ ქოჩარიანი

მისი ბედი გაიზიარა სამხრეთ კორეის კიდევ ორმა პრეზიდენტმა.

კორუფციის ბრალდებით თანამდებობიდან წასვლის შემდეგ დააკავეს **რო დე უ.** მას 22 წლით ციხე მიესაჯა და **ნო მუ ხიონი,** რომელიც 6 მლნ დოლარი ქრთამის აღებაში დაადანაშაულეს. ამ უკანასკნელმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

გვატემალის პრეზიდენტი **ოტო პერეს მოლინა** კორუფციული სქემის შექმნის ბრალდებით დააპატიმრეს, რაც მასა და მის ადმინისტრაციას საშუალებას აძლევდა, სავაჭრო გადასახადებით გამდიდრებულიყვნენ. 2015 წლის სექტემბერში ქვეყნის სენატმა მოლინას იმუნიტეტი გაუუქმა და დააპატიმრა. ის ახლა სასამართლო პროცესის დასრულებას ელოდება.

2019 წლის 27 ივნისს ერთპალატიანმა პარლამენტმა ექსპრეზიდენტის სტატუსი გაუუქმა ყირგიზეთის პრეზიდენტს **ალმაზბეკ ატამბაევს.**

2020 წლის 23 ივნისს მას ბრალად წაუყენეს კორუფცია, უფლებამოსილების გადამეტება და უკანონო გამდიდრება. მიესაჯა 11 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით.

ისრაელის პემიერ-მინისტრი **ეხუდ ოლმერტი** მუდმივად პროკურატურის ინტერესს იწვევდა. გამომძიებლები იძიებდნენ მის მონაწილეობას ბანკების პრივატიზაციაში, შემცირებული ფასით ბინის შეძენაში და მისი ყოფილი კოლეგებისთვის, რომლებთან ერთადაც სადვოკატო ბიუროში მუშაობდა, სახელმწიფო თანხების დახმარების სახით გაცემაში. 2014 წელს ოლმერტს ექვსი წლით პატიმრობა და დიდი ჯარიმის გადახდა მიესაჯა.

სომხეთის ყოფილ პრეზიდენტს **რობერტ კოჩარიანს** ბრალი ეხება კონსტიტიციური წყობის მოშლასა და 2008 წლის 1 მარტის აქციის დარბევაში. მას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. ის თავს დამნაშავედ არ ცნობს და ამბობს, რომ მის წინააღმდეგ დევნა ხორციელდება.

სხვადასხვა ქვეყნის პირველ პირებს შორის ბევრმა უკვე მოიხადა დამსახურებული სასჯელი, ბევრი კვლავ საპატიმროშია, ბევრს კი მომავალში მიეზღვება დამსახურებისამებრ...

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, ნელი თორდია, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99